საქართველოს სსრ მეცნიერთა აკადემიის ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и
СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

კვირა, 18 მაისი, 1952 წ. № 117 (9277) ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

მასების შემოქმედება ჩვენი წარმატებების საფუძველია—„პრავდის“ 17/V მოწინავე (1-ლი გვერდი).

დაიხურა საქართველოს კომკავშირის XIX ყრილობა (1-ლი გვერდი).

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმი (1-ლი გვერდი).

რკინიგზელის სტალინური დღის შესახვედრად (მე-2 გვერდი).

უდარდელობისა და უპასუხისმგებლობის შედეგი (მე-2 გვერდი).

წერილი მოსკოვიდან — **თვითთლრეგულების შემცირებისათვის ბრძოლის ჩვენი გამოცდილება** (მე-2 გვერდი).

ფელეტონი — **ბილიარდის მოთამაშენი...** (მე-3 გვერდი).

ფაბრიკაში მუშაობა უნდა გაძლიერდეს (მე-3 გვერდი).

გოლო მოვუღოთ უყაირათობას წიგნით ვაჭრობის საქმეში (მე-3 გვერდი).

„ძია ვანო“ (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მასების შემოქმედება ჩვენი წარმატებების საფუძველია

ხალხთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სულ ახალ წარმატებებს აღწევს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

ომისშემდგომი პირველი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულება, 1951 წლის ხახალხო-სამეურნეო გეგმის, აგრეთვე მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმის შესრულებაში მოპოვებული ახალი მიღწევები მოწმობენ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა დაუშრეტელ შემოქმედებითს ენერგიას.

ჩვენი ქვეყანა ახორციელებს კომუნიზმის მშენებლობის პროგრამას. საბჭოთა ხალხელწიფო აშენებს მსოფლიოში უდიდეს ჰიდროელექტროსადგურებს, არხებსა და ხარწყავ სისტემებს, გარდაქმნის ველებისა და უდაბნოების ბუნებას. იგი აშენებს ახალ ქალაქებს, ფაბრიკებსა და ქარხნებს. სოციალისტური ეკონომიკის განუწყვეტელი ზრდის საფუძველზე სისტემატურად მაღლდება მშრომელთა ცხოვრების დონე.

ჩვენი სამშობლოს გამარჯვებანი ცხადყოფენ სოციალისტური ხაზოგადოებრივი და ხალელმწიფოებრივი წყობილების უპირატესობას, წყობილებისა, რომელმაც გაათავისუფლა ხალხის დიადი ძალები, გამოიწვია მასების მძლავრი აქტივობა და შემოქმედებითი ინიციატივა.

ჯერ კიდევ 1918 წელს ვ. ი. ლენინი, ლაპარაკობდა რა მომავალი საბჭოთა სოციალისტური ხალელმწიფოს შესახებ, აღნიშნავდა:

„ჩვენ მოგვეპოვება მასალა ბუნებრივ ხიმდიდრეებშიც, ადამიანთა ძალების მარაგშიც, შეხანიშნავ გაქანებაშიც, რომელიც ხალხის შემოქმედებამ მისცა დიდმა რევოლუციამ, — რათა შევქმნათ ნამდვილად მძლავრი და უხვი რუსეთი“.

მოკლე ისტორიულ ვადაში ჩვენმა ქვეყანამ გაკეთა ნახტომი ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ, სამუდამოდ მოიშორა ჩამორჩენილობა და შუასაუკუნეობრიობის ხასე, გადაიქცა მძლავრ სოციალისტურ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო ხალელმწიფოდ.

სოციალიზმმა პირველად მისცა ყველა მშრომელს საშუალება განავითაროს თავისი უნარი, გამოიჩინოს ნიჭი. სოციალისტურმა წყობილებამ ძირეულად შეცვალა მშრომელი ადამიანის მდგომარეობა საზოგადოებაში. ხალხი პირველად ჩაება აქტიურ სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებაში, გახდა თავისი ქვეყნის სრულუფლებიანი პატრონი.

კაპიტალისტური სახელმწიფოსაგან განსხვავებით, რომელიც უალრესად მტრულია მშრომელი მასებისადმი, ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო დგას ხალხის ინტერესების სადარაჯოზე. სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონია მთელი საზოგადოების მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდითა და გაუმჯობესებით მაღალი ტექნიკის ბაზაზე.

მილიონობით საბჭოთა ადამიანების, სამშობლოს პატრიოტების, ახალი ცხოვრების შემქმნელების შემოქმედებითი შრომა საბჭოთა სახელმწიფოს ძალის წყაროა. ლენინ-სტალინის პარტიის მიერ შთაგონებული საბჭოთა ადამიანები არ იშურებენ ძალებსა და შრომას თავიანთი სამშობლოს საკეთილდღეოდ, კომუნიზმის გამარჯვებისათვის. ამხანაგი სტალინი ამბობს:

„მუშები და გლეხები, რომელნიც უხმაუროდ და უაურზაურიოდ აშენებენ ქარხნებსა და ფაბრიკებს, მაღაროებსა და რკინიგზებს, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებს, ქმნიან ცხოვრების ყველა სიკეთეს, აჭმევენ და აცმევენ მთელ მსოფლიოს, — აი ვინ არიან ახალი ცხოვრების ნამდვილი გმირები და ნამდვილი შემოქმედნი... მათი „პატარა“ და „უჩინარი“ შრომა ნამდვილად დიადი და შემოქმედი შრომაა, რომელიც წყვეტს ისტორიის ბედიდ ბალს“.

შრომისადმი, როგორც საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმისადმი შეგნებულ დამოკიდებულებაში, სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებისათვის დაუცხრომელ ზრუნვაში იჩენს თავს კომუნიზმის აქტიური მშენებელი საბჭოთა ადამიანების ახალი სულიერი სახე.

მშრომელთა პატრიოტული წერილები ამხანაგ სტალინისადმი ერთ-ერთი გამოხატულებაა მასების მზარდი შრომითი და პოლიტიკური აქტივობისა, მათი ინიციატივისა, მისწრაფებისა—იარონ წინ, მოიპოვონ ახალი წარმატებანი. ეს წერილები გამსჭვალულია სამშობლოსადმი, ბოლშევიკური პარტიისადმი, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი მთელი საბჭოთა ხალხის ხიყვარულის გრძნობით.

ამხანაგ სტალინისადმი მიმართულ წერილში, რომელიც დღეს ქვეყნდება, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის მრეწველობის, ტრანსპორტის საწარმოთა და მშენებლობათა მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები კისრულობენ ვალდებულებებს სოციალისტურ შეჯიბრებაში — მოლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ 1952 წლის გეგმები ყველა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლის მიხედვით.

წერილში ნათქვამია:

„ძვირფასო ამხანაგო სტალინ! ვკისრულობთ რა ამ ვალდებულებებს, პირობას გაძლევთ, რომ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა ისინი განვახორციელოთ. ჩვენ მივალწევთ შრომის ორგანიზაციის შემდგომ გაუმჯობესებას, სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩავაბამთ ყველა მუშას, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკსა და მოსამსახურეს, ფართოდ გავავრცელებთ წარმოების ნოვატორთა გამოცდილებას, უზრუნველვყოფთ მუშების კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებას.

ჩვენ გავაძლიერებთ ბრძოლას წარმოების შინარეზერვების სრულად გამოყენებისათვის, მტკიცე მოჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის, იმისათვის, რომ თვითეულმა სარეწმა, ქარხანამ, ფაბრიკამ, მშენებლობამ, საამქრომ, აგრეგატმა, თვითეულმა მუშამ შეასრულოს საწარმოო გეგმები“.

მასების შემოქმედება, შრომისადმი მათი შეგნებული დამოკიდებულება გამოხატულებას პოულობს საყოველთაო-ხახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში. 1952 წლის ხახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობს ჩვენი მრეწველობის მუშაკთა 90 პროცენტზე მეტი და სოფლის მეურნეობის მშრომელთა დიდი უმრავლესობა.

მილიონობით ადამიანის შეჯიბრებას წარმატება წარმატებაზე მოაქვს. უდიდეს საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივები ვადამდე ახრულებენ ხახელმწიფო გეგმებს. ბევრმა ფაბრიკამ და ქარხანამ უკვე შეასრულა ხუთი თვის დავალება. სოფლის მეურნეობის მშრომელები ახლა იბრძვიან საგაზაფხულო თესვის სანიმუშოდ დამთავრებისათვის.

კომუნისტური პარტია შეჯიბრების მონაწილეთა ძალღონეს წარმართავს ხახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის ხაბრძოლველად. ჩვენი პარტიული ორგანიზაციები ეხმარებიან შეჯიბრებაში ჩაბმულთ, გაბედულად დანერგონ მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები ხახალხო მეურნეობის ყველა დარგში, გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი და შემაცირონ მისი თვითღირებულება, დაზოგონ ნედლეული, სათბობი, მასალები, ელექტროენერგია.

ჩვენში სოციალისტური შეჯიბრების პირველ რიგებში არიან წარმოების ნოვატორები, სტახანოველები, რომლებიც თავიანთი პირადი მაგალითით აღფრთოვანებენ ფართო მასებს, ეხმარებიან ჩამორჩენილთ დაეწიონ მოწინავეებს და მიაღწიონ ახალ მაჩვენებლებს შრომის უფრო მაღალი ნაყოფიერებისათვის ბრძოლაში.

ბოლშევიკური პარტია დაუცხრომლად ზრდის მშრომელ მასებს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, მშობლიური სოციალისტური ხალელმწიფოს ინტერესების დაცვის სულისკვეთებით. ხაბჭოთა ადამიანები მიღწეულს არ ხჯერდებიან, ისინი მიღწევებს ზომავენ კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების თვალსაზრისით.

პარტიული, პროფკავშირული, სამეურნეო და კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე დასახულია ამოცანა — უზრუნველყონ იმ ვალდებულებათა შესრულება, რომლებიც მშრომელებმა იკისრეს საყოველთაო-ხახალხო სოციალისტური შეჯიბრებით, შექმნან ყველა პირობა მასების შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომი განვითარებისათვის. ყოველი ძვირფასი თაოსნობისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება, შრომის მოწინავე პროგრესული მეთოდების მხარდაჭერა და ფართოდ გავრცელება იმის საწინდარია, რომ ახალ წარმატებებს მოვიპოვებთ სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

კომუნიზმი ჩვენს ქვეყანაში შორეული მომავლის საკითხი როდია. იგი იზრდება ხაბჭოთა ადამიანების დიდი შემოქმედებითი შრომით, მეცნიერებისა და ტექნიკის წარმატებებით, იმით, რომ სოციალისტურად მატულობს შრომის ნაყოფიერება და განუხრელად მაღლდება ხაბჭოთა ადამიანების ცხოვრების მატერიალურ-კულტურული დონე.

მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის შემდგომი ამაღლებისათვის, მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ახალი წარმატებებისათვის კომუნიზმის გასამარჯვებლად!

„პრავდის“ 17-V მოწინავე

დაიხურა საქართველოს კომკავშირის XIX ყრილობა

17 მაისს თბილისის რუსთაველის სახელობის დრამატულ თეატრში მუშაობას განაგრძობდა საქართველოს კომკავშირის XIX ყრილობა.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ასარჩევად ფარული კენჭისყრის შემდეგ გაიხსნა საბოლოო სხდომა.

ყრილობამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო. რეზოლუციაში ასახულია რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე მდგომი ახალი დიდი ამოცანები.

სიტყვა ეძლევა დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს ამხ. ე. შევარდნაძეს, რომელიც აცხადებს ფარული კენჭისყრის შედეგებს.

დელეგატები მჭეხარე, ხანგრძლივი ტაშით ეგებებიან ცნობას საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის — ამხანაგ ლ. პ. ბერიას ერთხმად არჩევის შესახებ.

დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე ყრილობას მოახსენებს, რომ ყველა დასახელებული კანდიდატი არჩეულია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში.

დელეგატებმა დიდი აღფრთოვანებით, ტაშის გრიალით მიიღეს მისალმება ამხანაგ **ლ. პ. ბერიასადმი.**

ყრილობის დღის წესრიგი ამოწურულია. თავმჯდომარე — ამხ. **მ. მეგრელიშვილი** დახურულად აცხადებს საქართველოს კომკავშირის XIX ყრილობას.

ყრილობის დელეგატები ფეხზე ამდგარნი მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“. (საქდესი).

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომკავშირის XIX ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. **მ. ა. მეგრელიშვილი.**

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად არჩეულია ამხ. **გ. მ. დედაბრიშვილი,** მდივნად პროპაგანდისა და აგიტაციის დარგში — ამხ. **გ. დ. ბანძელაძე,** მდივნად მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერთა შორის მუშაობის დარგში— ამხ. **გ. ა. ურიდია,** მდივნად კადრების დარგში — ამხ. **თ. ი. ხელაშვილი.**

პლენუმმა აირჩია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები **მ. ა. მეგრელიშვილი, გ. მ. დედაბრიშვილი, გ. დ. ბანძელაძე, გ. ა. ურიდია, თ. ი. ხელაშვილი, გ. ხ. კავთიაშვილი, რ. ხ. კანდელაკი, შ. ე. გაგოშიძე, ხ. ა. ბობილევი.**

პლენუმმა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორად დაამტკიცა ამხ. **შ. ე. გაგოშიძე** და გაზეთ „მოლოდი სტალინეცის“ რედაქტორად ამხ. **მ. ვ. კაკაბაძე.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ა. ი. მგელაძემ** და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ა. ნ. შელეპინმა.** (საქდესი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

ბუდაპეშტში გაიხსნა საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მუზეუმი

ბუდაპეშტი. (საკდესი). ბუდაპეშტში გაიხსნა საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მუზეუმი.

მუზეუმს აქვს 17 დარბაზი-განყოფილება. 15 დარბაზში ასახულია საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია მისი შექმნის მომენტიდან. ერთი დარბაზი მიძღვნილია უნგრეთში სოციალიზმის მშენებლობის საქმეში საბჭოთა კავშირისა და ბოლშევიკური პარტიის დახმარებისადმი და ერთი — სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობისადმი. მუზეუმში ბევრია ფოტოსურათი, პლაკატი, მაკეტი, ისტორიული დოკუმენტების ფოტოასლები, საბჭოთა მხატვრების სურათების ასლები, რომლებიც ასახავენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ბრძოლას.

საირიგაციო ნაგებობათა მშენებლობა ჩინეთში

პეკინი, 14 მაისი. (საკდესი). გაზეთი „ჟენმინიბაო“ იუწყება, რომ ფართოდ განვითარდა საირიგაციო ნაგებობათა მშენებლობა მდინარე ხუაიხეს აუზში. აპრილის დამლევისათვის ხენანის, ჩრდილოეთ ანხუეისა და ჩრდილოეთ ძიანსუს პროვინციებში აგებულ იქნა ყველა იმ ნაგებობათა ნახევარზე მეტი, რომლებიც დაგეგმილია გაზაფხულის პერიოდისათვის, ამასთან შესრულებულ იქნა 70 მილიონი კუბმეტრი მიწის სამუშაოები.

მთლიანად დამთავრებულია წყალსაცავ ბანციაოს მშენებლობა მდინარე ჟუხეს სათავეებში ხენანის პროვინციაში. დასასრულს უახლოვდება მიწის კაშხალის მშენებლობა მდინარე ინხეს ზემო წელში, რის შედეგადაც იქმნება დიდი წყალსაცავი ბაიშა. სწრაფი ტემპით წარმოებს ოგრეთვე მუშაობა მდინარე ხუაიხეს სხვა შენაკადებზე ხენანისა და ჩრდილოეთ ანხუეის პროვინციებში.

საბჭოთა კავშირში

მიწის უკანასკნელი სამუშაოები ვოლგა-დონზე

ჩაპურნიკი (სტალინგრადის ოლქი), 15 მაისი. (საკდესი). ვოლგა-დონის არხის მშენებლობის მოსიარულე ექსკავატორთა რაზმმა, რომელსაც გიგანტი ეშ-14/65 უძღვის, დღეს წყალგასაყარზე დაამთავრა უკანასკნელ სანგრევებზე გადასვლა.

მიწისმთხრელი მანქანების ეკიპაჟები ამთავრებენ გრუნტის ამოღებას და გვერდობთა დაგეგმვას არხის უბანზე № 9 რაბის მახლობლად, ეს რაბი ვოლგის კიბეზე პირველი მიიღებს დონის წყლის ნაკადს, რომელსაც ერგენეის მწვერვალზე აკავებს დროებითი ზღუდარი.

გამოცდის შემდეგ დღეს „ვოლგა-დონმშენს“ გადაეცა საათში 300 კუბური მეტრი გრუნტის წარმადობის მიწისმწოვი მანქანა. მან კრასნოარმეისკოეს რაიონში უნდა დაშალოს არხზე ზღუდარი — უკანასკნელი აბრკოლება დონის წყლის გზაზე ვოლგისაკენ.

როგორც კი ვოლგა-დონის სანაოსნო არხი აივსება წყლით, მიწისმწოვი მანქანები აქედან სტალინგრადის ჰიდროელსადგურის მშენებლობაზე გადავლენ.



კიევის ოლქი. კორსუნ-შევჩენკოვსკის მტს-ში მიიღეს „ხტზ-12“ ელექტროტრაქტორების პარტია. ფოტო ნ. კრილოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

დიად მშენებლობაზე

დონის კალაჩი, 15 მაისი. (საკდესი). სამმა მძლავრმა სატუმბავმა სადგურმა — კარპოვკის, მარინოვკისა და ვარვაროვკის სადგურებმა — დონის წყალი ასწია 44 მეტრით და აიყვანა წყალგასაყარამდე. მხოლოდ ზღუდარი არ აძლევს საშუალებას წყალს არხით დაეშვას ვოლგისაკენ. არხის მშენებლები ახლა ამუშავების ვახტზე დგანან. ყოველდღე მწყობრში დგება ახალი ობიექტი.

მეორე, მესამე, მეოთხე და მერვე რაბების კოლექტივებმა ყველაფერი გააკეთეს წყლის მისაღებად. გუშინ ელექტრომექანიკოსებმა სამუშაოს მწარმოებლის ობუხოვის ხელმძღვანელობით მეორე რაბზე დაამთავრეს ელექტრომოწყობილობის მონტაჟი. მეთორმეტე რაბზე დამთავრდა ბეტონის ჩასხმა. აქ მუშაობდა ბეტონტუმბოტუმბოს ბუნკერიდან გამომწოვი სარქველი განუწყვეტლივ აწვდის ბეტონს საჭირხნ კოლოფში, ხოლო შემდეგ მთელი ეს მასა, რომელსაც დგუში აწვება, ბეტონსადენით მიდის ჩასხმის ადგილზე. ბეტონტუმბოს წარმადობა საათში 40 კუბური მეტრია.

არხის სატუმბავი სადგურები ყოველ დღეღამეში დონიდან გადატუმბავენ ოთხ მილიონამდე კუბურ მეტრ წყალს.

სტალინური პრემიის ლაურეატი ბარატ ვ. დროკინის

ხარკოვი, 13 მაისი. (საკდესი). სტალინური პრემიის ლაურეატის ხარატ ვ. დროკინის ინიციატივით ს. მ. კიროვის სახელობის ტურბინგენერატორების ქარხანაში დაიწყო შეჯიბრება ტურბინების და გენერატორების საუკეთესო დეტალებისა და კვანძების ვადამდე გამოშვებისათვის.

ორთქლის ტურბინების საამქროში გამომხარატებელთა ბრიგადამ, რომელსაც ნოვატორი ხელმძღვანელობს, პირველმა შეასრულა დაბალი წნევის ტურბინებისათვის ცილინდრების გამოხარატების ნახევარი წლის დავალება. გუშინ დამზადებულ იქნა დიდი გაბარიტების დეტალები ივლისის ანგარიშში. ახალგაზრდა სტახანოველებმა სიროტიუკმა, ტრუსოვმა, ვიშნიაკოვმა და სხვებმა წლის დასაწყისიდან შეასრულეს 10-ზე მეტი თვის ნორმა. უბანზე წუნის არც ერთი შემთხვევა არ არის.

ამხ. დროკინის ბრიგადამ, რომელიც 15 მედაზგეს ერთიანებს, იკისრა ახალი გადიდებული ვალდებულება—დაბალი წნევის ცილინდრების გამოხარატების წლიური გეგმა შეასრულოს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან ხარკოვის განთავისუფლების წლისთავისათვის — 23 აგვისტოსათვის.

ამხ. დროკინის ინიციატივას მხარი დაუჭირეს შემდეგელებმა, სამშხმელო და სხვა საამქროებმა, რომლებიც ტურბინების დიდი გაბარიტების დეტალებს ამზადებენ.

საქსოვი ქსელის გაწყობის ახალი წესი

ივანოვო, 12 მაისი. (საკდესი). ივანოვოს საფეიქრო ინსტიტუტის სასწავლო-საწარმოო ლაბორატორიის ოსტატმა ამხ. ა. ი. პანოვმა შეიმუშავა საქსოვ დაზგებზე ქსელის გაწყობის ახალი წესი.

როცა ქსელი გამოყენებულია ქსოვილის დამზადებისათვის, მას სჭრიან. დარჩენილ ფთილებს აბამენ ახალ ქსელს. ეს კეთდება რვა უძრავი კვანძის საშუალებით. ამასთან ძაფები ფთილებში ერთნაირად როდი იჭიმება. მათს გამოსწორებაზე ბევრი დრო იხარჯება.

პანოვის მეთოდი თავიდან იცილებს ამ ნაკლოვანებებს. მისი კვანძი მოძრაობა და ადვილად სრიალებს ახალი ქსელის ფთილებზე. ეს ძაფების თანაბარი დაჭიმვის საშუალებას იძლევა. ქსელის გამოსწორების შემდეგ ოსტატის თანაშემწე ამაგრებს კვანძებს. სრიალა კვანძს სხვა უპირატესობაც აქვს: 30-40 პროცენტით მცირდება კვანძების გამოსკვნის დრო, მცირდება ძაფის წყვეტა.

ოსტატ ა. ი. პანოვის მეთოდი მოწონებულია ივანოვოს ოლქის ბამბეულის მრეწველობის 1-ლი და მე-2 მთავარი სამმართველოების მიერ და ახლა ვრცელდება საწარმოებში.

ავტომატური ბეტონსასხმელები

კიევი, 15 მაისი. (საკდესი). დღეს აქ ქარხანა „წითელ ექსკავატორში“ დამთავრდა გამოცდა ორი ბეტონსასხმელისა, რომლებიც დამზადებულია მოსკოვის რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის დაკვეთით. აგრეგატები განკუთვნილია სპეციალურ ფორმებში ბეტონის ავტომატურად ჩასხმისათვის, შვიდ მეტრამდე სიმაღლის სვეტებისა და სხვადასხვა პანელის დასამზადებლად.

თვითეული აგრეგატი შედგება ლითონის ესტაკადისაგან, რომელზეც დამონტაჟებულია ბუნკერები, და სპეციალური ურიკისაგან რელსებზე დამონტაჟებულ ფორმებში ბეტონის ჩასასხმელად. ბეტონით ფორმების თანაბრად ავსებას უზრუნველყოფს ელექტრომაგნიტური ვიბრატორი.

დანადგარის წონა 8 ტონაზე მეტია. მისი წარმადობა საათში 6-10 კუბურ მეტრ ბეტონს უდრის.

გიგანტური ჯაჭვი

კრამატორსკი, 15 მაისი. (საკდესი). სტალინის სახელობის ნოვოკრამატორსკის მანქანათმშენებელ ქარხანაში დამთავრდა გალის უნიკალური ფირფიტოვანი ჯაჭვის დამზადება. მისი სიგრძეა 67 მეტრი, ხოლო წონა — 30 ტონამდე. გიგანტური ჯაჭვი განკუთვნილია ერთ-ერთი ახალი ჰიდრონაგებობის რაბის ასტონიანი კარის ასაწევად. თვითეული მისი რგოლი 100-მდე კილოგრამს იწონის.

ქარხანაში დაიწყო აგრეთვე გალის ახალი ჯაჭვის დამზადება, რომლის საშუალებით შეიძლება აწეულ იქნას 200 ტონა ტვირთი. ასეთი ჯაჭვის გასაგლეჯად საჭირო იქნებოდა 40 მძლავრი ორთქლმავლის ძალა.

ახალი პოლიგრაფიული მანქანები

მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს საწარმოები ამზადებენ რამდენიმე ახალი ტიპის პოლიგრაფიულ მანქანებს.

სიახლეს წარმოადგენს მცირე ბრტყელადსაბეჭდი ავტომატი, რომელიც ვისკის ქარხანა „მოლოტმა“ გამოუშვა. საცდელი ნიმუშის გამოცდამ ცხადყო ამ აგრეგატის საუკეთესო თვისებანი. ახალი მანქანის წარმადობა ერთიორად აღემატება ძველი კონსტრუქციების ასეთი მანქანების წარმადობას. ამ მანქანით შეიძლება მრავალფერადი ბეჭდვა. საათში მას შეუძლია გააკეთოს 2600 ანაბეჭდი.

მცირე ფორმატის ოფსეტური მანქანების პირველი სერია გამოუშვა შჩერბაკოვსკის ქარხანამ. ამ საწარმოს კოლექტივმა ვადამდე შეასრულა კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა დაკვეთა. ახალმშენებლობას გეგმის გადამეტებით გაეგზავნა ორროლიანი საგაზეთო როტაცია. (საკდესი).

ჩაის ფოთლის კრეფა

საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მაისის პირველ და მეორე ხუთდღიურში სულ მოიკრიფა 206,5 ტონა ჩაი, მესამე ხუთდღიურში კი — 1.161,4 ტონა.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში 15 მაისისათვის მოკრეფილი იყო 243,9 ტონა ჩაის ფოთოლი, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 170,3 ტონა, ქუთაისის ოლქში — 953,7 ტონა.

ბათუმის რაიონში აპრილ-მაისის დავალება შესრულებულია 4,6 პროცენტით, ჭობულეთის — 4,4, გალის—5,3, ოჩამჩირის — 5,5, გულრიფშის—20,3, სუხუმის — 0,8, გუდაუთის — 1,5, მაზარაძის — 2,9, ჩოხატაურის — 2,9, ლანჩხუთის — 5,6, სამტრედიის—11,2, წულუკიძის — 11,5, ქუთაისის—12,8, წყალტუბოს — 25,1, ტყიბულის — 0,5, ცხაკაიას — 5,7, აბაშის — 11,2, გეგეჭკორის — 5,9, ზუგდიდის—6,7, წალენჯიხის — 3,4, ჩხოროწყუს—7,6, ხობის — 12, თერჯოლის — 26, ხოლო ზესტაფონის რაიონში — 48,1 პროცენტით.

ზუგდიდისა და გალის რაიონების ცნობები არასრულია.

ქერის მოსავლის შერჩევითი აღება ჯაჯიკეთში

სტალინაბადი, 15 მაისი. (საკდესი). ივანისა და დაგანა-კიოკის რაიონების კოლმეურნეობები შეუდგნენ მარცვლეული კულტურების მოსავლის შერჩევითს აღებას. ივანის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის და შეურნიკის სახელობის, დაგანა-კიოკის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებში უკვე აღებულია ათობით ჰექტარი ქერის მოსავალი.

ფართობზე, რომელიც თითქმის ერთიანირად აღემატება შარშანდელს, მარცვლეულის მოსავალს მანქანებით აღებენ.

ბაკურიანი

ბაკურიანი, 15 მაისი. (საკდესი). ბაკურიანში ბოტანიკურ ბაღში ყვავილობენ ალვა, ბაბუაწვერა, ბალი, ბალბალა, ბალბალა, ბალბალა

მბურღავ გ. თოდაძის გამოცდილების საკითხი პარტიულ კრებაზე

ჭიათურა. (საკ. კორ.). ლენინის სახელობის მაღაროს ღია პარტიულ კრებაზე განიხილეს მბურღავ გ. თოდაძის მუშაობის გამოცდილების საკითხი. საკითხი მოამზადა შრომის ორგანიზაციის ინჟინერმა ვენერა ერქომაიშვილმა.

ამხ. გ. თოდაძე დაუფლებულია მანქანას, სანიმუშოდ უვლის მას და ყოველთვის წესრიგზე აქვს მექანიზმი.

გ. თოდაძე განსაკუთრებით აფასებს დროის ფაქტორს, ამჭიდროვებს სამუშაო დროს. მაგალითად, ამხ. თოდაძე მანქანის ჩარჩოს დადგმისა და მანქანის გამართვის დროს, აგრეთვე საბურღავი კაბელის დაშლისა და დენკვეთთან შეერთებას სამ-სამი წუთით ამცირებს, ხოლო ერთი შპურის გაჭრისათვის განკუთვნილ დროს 3,22 წუთით. გ. თოდაძე თავისი მეთოდით ცვლაში 90-100 შპურს ჭრის და ოთხ სანგრევს ბურღავს.

პარტიულმა კრებამ მიიღო დადგენილება გ. თოდაძის მუშაობის მეთოდის დანერგვისათვის ხელის შეწყობის შესახებ. მისი მეთოდით უკვე მუშაობენ მბურღავები გერვასი და ივანე შეყლაშვილები, მ. სამხარაძე.

მბურღავ გ. თოდაძის გამოცდილება ფართოდ უნდა დაინერგოს ყველა მაღაროში.

თათბირი პარტიული განათლების საკითხებზე

ზუგდიდი. (საკ. კორ.). პარტიის რაიკომმა მოაწყო პარტიული ორგანიზაციების მდივნების, პროპაგანდისტებისა და კონსულტანტების რაიონული თათბირი, განხილულ იქნა პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის დამთავრებისათვის მზადების საკითხი.

თათბირზე აღინიშნა, რომ წრეებისა და პოლიტსკოლების ნაწილი ჩამორჩება სასწავლო პროგრამის გავლაში, ბევრგან სუსტად იყენებენ თვალსაჩინო მასალებს. განსაკუთრებით აღინიშნა კონსულტანტების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა.

თათბირმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი.

აგიტპროპთა სკოლები

ტყიბული. (საკ. კორ.). აგიტატორთა მეთოდური დახელოვნებისა და იდეურ-თეორიული დონის ამაღლების მიზნით ლენინისა და სტალინის სახელობის შახტებში შეიქმნა აგიტატორთა ორთვიანი სკოლები. სკოლებში 60-მდე აგიტატორია გაერთიანებული.

აგიტატორები იქ ისმენენ ლექციებს თემებზე: „ლენინი და სტალინი პოლიტიკური აგიტაციის შესახებ“, „კომუნიზმის დიადი მშენებლობანი“, „სოციალისტური საკუთრება წმიდათაწმიდა და ხელშეუხებელია“, აგრეთვე გეოგრაფიულ, ეკონომიურ და ანტირელიგიურ თემებზე.

მეცადინეობა ეწყობა კვირაში ერთხელ წარმოებისაგან მოუწყვეტლად.

რკინიგზელის სტალინური დღის შესახვედრად

საუკეთესო ორთქლმავლის ბრიგადის ვალდებულებანი

— შევინარჩუნოთ საუკეთესო ორთქლმავლის საპატიო წოდება, განვამტკიცოთ მიღწეული წარმატებანი, ვიმუშაოთ უწუნოდ და უავარიოდ, — ასე მიმართა ერთ-ერთ საწარმოო თათბირზე თბილისის საორთქლმავლო დეპოში საორთქლმავლო ბრიგადის წევრებს უფროსმა მემანქანემ ამხ. ა. მამაჯანაშვილმა.

ა. მამაჯანაშვილის საორთქლმავლო ბრიგადამ მუშაობის კარგი ორგანიზაციით აწევითი რემონტის გაუკეთებლად 114 ათას კილომეტრამდე აიყვანა ორთქლმავლის გარბენა. აღნიშნული ბრიგადა უკვე კარგა ხანია სამეურნეო ანგარიშით მუშაობს. ცნობილი მემანქანის ამხ. ლუნინის მუშაობის მეთოდების საფუძველიანმა დაუფლებამ კიდევ უფრო განამტკიცა ბრიგადის მიღწევები. სისტემატურად ეწყობა ბრიგადის წევრთა საწარმოო თათბირები, სადაც განიხილავენ ორთქლმავლის უკეთესი მომსახურების პრაქტიკულ საკითხებს. საორთქლმავლო ბრიგადას წესად აქვს შემოღებული რეისიდან დაბრუნების შემდეგ შეაჯამოს გაწეული მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები, დასახოს მომავალი რეისისათვის პრაქტიკული ღონისძიებანი.

იმ მიზნით, რომ დრო მოიგონ და ორთქლმავალი არ მოცდეს, ბრიგადა ორთქლმავლის ექსპლოატაციის პროცესში საკუთარი ძალებით აწარმოებს მის მიმდინარე წვრილმან შეკეთებას. ბრიგადის წევრებს (მემანქანე რ. არობიანი, მემანქანის თანაშემწეები ა. დავლაშელიძე და გ. ჩოკოშვილი) შორის განაწილებულია შრომა.

ორთქლმავლის კარგი ტექნიკური მდგომარეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ორთქლმავლის ქვაბის სანიმუშოდ მოვლას. რეისის შემდეგ ისინი ასუფთავებენ საკვამლე მილებს და ქვაბის კედლებს. რეისში გასვლის წინ და რეისიდან დაბრუნების შემდეგ სისტემატურად მოწმდება ორთქლმავლის როგორც სამუხრუჭო, ისე მთელი შინაგანი და გარეგანი მოძრავი მექანიზმები. ორთქლმავლის შეკეთებაში საამქროს მუშებთან ერთად ბრიგადის წევრებიც იღებენ მონაწილეობას. იმის გამო, რომ ორთქლმავალი ტექნიკურად მუდამ კარგ მდგომარეობაშია, გარეცხვითს შეკეთებაში დგომა საგრძნობლად შემცირებულია ნორმით ნავარაუდევთან შედარებით. ყოველივე ამან ბრიგადას საშუალება მისცა დაეზოგა 27.926 მანეთი ფულად და 144 ტონა საწვავი.

რკინიგზელის სტალინური დღის შესახვედრად ორთქლმავლის ბრიგადამ იკისრა უკეთ მოაწყოს შრომა, გარეცხვითს შეკეთებათა შორის ნაცვლად 7.000 კილომეტრისა გაირბინოს 10.000 კილომეტრი, ყოველ გარეცხვითს შეკეთებაზე გასწიოს 2.000 მანეთის ეკონომია და დაზოგოს სულ ცოტა 10 პროცენტი საწვავი.

თბილისის საორთქლმავლო დეპოს სამეურნეო და პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მოეთხოვებათ მეტი გულისხმიერებით და მზრუნველობით მოეკიდონ მოწინავეებს, წაახალისონ ისინი, მოაწყონ მათი მუშაობის მეთოდების გამოცდილების პოპულარიზაცია, საყოველთაოდ ცნობილი გახადონ საორთქლმავლო დეპოს მოწინავეთა საწარმოო მიღწევები.

ლ. სარჯველაძე

გადაკეთებულ მძიმეწონიანი მატარებლები

ზესტაფონი. (საკ. კორ.). საელმავლო დეპოს კოლექტივმა წარმატებით გაანალდა საპირველმისო სოციალისტური შეჯიბრების ნაკისრი ვალდებულებანი და გადაწყვიტა განაგრძოს შეჯიბრება რკინიგზელის სტალინური დღის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ელმავლის უფროსმა მემანქანემ გ. გოლუბინმა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს — 1 მაისს ზესტაფონ-სამტრედიის უბანზე გადაიყვანა მძიმეწონიანი მატარებელი, რომლის წონა რამდენიმე ასეული ტონით აღემატებოდა ნორმით გათვალისწინებულს.

2 მაისს ვლ. ცერცვაძის ელმავლის გუნდმა გადაიყვანა მძიმეწონიანი მატარებელი და გეგმის გადამეტებით 324 ტონა ტვირთი გადაზიდა. ზურაბ რობაქიძემ 4 მაისს გადაიყვანა მძიმეწონიანი მატარებელი და გეგმის გადამეტებით 300 ტონა ტვირთი გადაზიდა. მემანქანემ ი. კაპანაძემ მაისის პირველ ხუთდღიურში 2 მძიმეწონიანი მატარებელი გადაიყვანა და ნორმის ზევით 400 ტონა ტვირთი გადაიტანა.

ზესტაფონელი მელმავლეები, რომლებიც სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი ქუთაისისა და ფოთის საელმავლო დეპოებთან, იბრძვიან იმისათვის, რომ შეჯიბრებაში გაიმარჯვონ და ახალი წარმატებებით შეხვდნენ რკინიგზელის სტალინურ დღეს.

შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოები

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა შეაჯამა საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოებში სოციალისტური შეჯიბრების პირველი კვარტალის შედეგები. პრეზიდიუმმა შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნო თბილისის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორა (უფროსი ა. სხირტლაძე, პარტორგანიზაციის მდივანი ა. ჭელიძე, ადგილკომის თავმჯდომარე ხ. კსავოლიანი) და მიაკუთვნა მას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

პრეზიდიუმმა აღნიშნა აგრეთვე თბილისის ავტოსატრანსპორტო კანტორის სასარაჯო-სარემონტო სახელოსნოს, თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის, თბილისის ტაქსმოტორების სადგურის და წნორის ავტოსატრანსპორტო კანტორის კარგი მუშაობა პირველ კვარტალში.

„იტალია-სსრ კავშირის“ საზოგადოების დელეგაცია საქართველოში

16 მაისს თბილისიდან მოსკოვს გაფრინდა „იტალია-სსრ კავშირის“ საზოგადოების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სენატორი ვიტორიო ბარდინი. დელეგაცია ხუთ დღეს იყო საქართველოში.

იტალიის დელეგაციამ ნახა მთელი რიგი საწარმოები, საბავშვო დაწესებულებანი, გაიცნო თბილისის ღირსშესანიშნაობანი. სტუმრებმა დაათვალიერეს კუროორტ გაგრის სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, იყვნენ ქალაქ სუხუმში, სუხუმის რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში. დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს რესპუბლიკის უდიდესი სარწყავი სისტემა — სტალინის სახელობის სამგორის სარწყავი არხი, რომელიც აშენდა ომისშემდგომ წლებში გვალვიანი სამგორის ველის მოსარწყავად.

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ დელეგაციის პატივსაცემად გამართა დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის მუშაკები, თბილისის საწარმოთა სტახანოველები. (საქდესი).

თბილისს ჩამოვიდა ინგლისელ მუშათა გაერთიანებული დელეგაცია

თბილისს ჩამოვიდა ინგლისელ მუშათა გაერთიანებული დელეგაცია, რომელსაც შეთაურობს მორის აივორ მორგანი.

საქდესის კორესპონდენტთან საუბარში მორის აივორ მორგანმა განაცხადა:

— ჩვენ საბჭოთა კავშირში ჩამოვედით იმ მიზნით, რომ გავეცნოთ თქვენი ქვეყნის მშრომელთა ცხოვრებასა და მუშაობას. დასავლეთის ქვეყნების პრესა ეწევა ანტისაბჭოთა პროპაგანდას, ავრცელებს ვერსიას „რკინის ფარდის“ შესახებ.

საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის პირველსავე დღეებში ჩვენ საკუთარი თვალით დავინახეთ, თუ რა ფასი აქვს ამ მტკიცებებს. ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა დიდმა მშვიდობიანმა მშენებლობამ, რომელიც საბჭოთა კავშირში წარმოებს. ჩვენ თბილისს ჩამოვედით დონის როსტოვიდან, სადაც ვნახეთ დიდძალი ახალი საუცხოო შენობა, რამაც გაალამაზა ომით ძლიერ დაზარალებული ქალაქი.

საბჭოთა ადამიანები გულწრფელად ესწრაფვიან ხალხთა შორის მშვიდობასა და მეგობრობას. (საქდესი).

მეშახტეთა ბავშვების საზაფხულო დასვენება

ტყიბული. (საკ. კორ.). მეშახტეთა ბავშვები საზაფხულო არდადეგებს ყოველწლიურად პიონერულ ბანაკებში ატარებენ. მიმდინარე წელს სოფელ საწირეში გაიხსნება სანატორიული და საერთო ტიპის პიონერული ბანაკები, სადაც მეშახტეთა 400 ბავშვი დაისვენებს.

ამჟამად მიმდინარეობს ბანაკის მომზადება ზაფხულის სეზონისათვის.

უდარდელობისა და უპასუხისმგებლობის შედეგი

ერევნული ბიბლიოთეკა

თბილისის გარეუბნის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა ქალაქს სულ ორიოდე კილომეტრით არის დაშორებული. მას ნიადაგისა და ჰავის საუკეთესო პირობები აქვს სასათბურო მეურნეობის ფართოდ განვითარებისათვის დედაქალაქის მოსახლეობის მოსამარაგებლად კვების აუცილებელი პროდუქტებით, პირველ რიგში, ბოსტნეულით, ხილით, რძით.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ დიდ შესაძლებლობას ეს ნაკლებად იყენებენ. უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობაში სისტემატურად ირღვევა საოფლო-სამეურნეო არტელის წესდება. კოლმეურნეობა განსაკუთრებით ჩამორჩა ცალკეული კულტურების მოსავლიანობისა და ფულადი შემოსავლის დარგში, მკვეთრად შემცირდა შრომის საფასური. მაგალითად, 1950 წელს კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი 4.218.700 მანეთს შეადგენდა, შარშან კი — 3.870.000 მანეთს. 1950 წელს წინა წლის 13 მანეთისა და 10 კაპიკის ნაცვლად შრომადღეზე მხოლოდ 9 მანეთი და 40 კაპიკი გასცეს, ხოლო მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის — 8 მან. და 18 კაპიკი.

კოლმეურნეობის ცუდი ხელმძღვანელობის გამო ბევრ კოლმეურნეს გასული წლის კუთვნილი თანხა არ მიუღია. შრომადღეებზე გასაცემი ნახევარ მილიონამდე მანეთი სხვა დანიშნულებაზე დახარჯეს და მის გადასახდელად ახლა მიმდინარე წლის შემოსავალს ელოდებიან.

გაუცემელია 1951 წლის შრომადღეებზე კუთვნილი 2 ტონამდე მარცვლეულიც. გარდა ამისა, კოლმეურნეობას სხვადასხვა პირებისა და ორგანიზაციებისა მართებს 400.000-მდე მანეთი.

კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა წლის მანძილზე უხეირო მუშაობით, დებიტორული დავალიანება 635.893 მანეთამდე აიყვანეს. აღნიშნული თანხიდან ათეულ და ასეულ ათასობით მანეთი ირიცხება მთელ რიგ არტელებზე („ახალშენი“, „რემსტროი“, „ქვის ნაკეთობა“ და სხვ.), აგრეთვე თბილისის რაიკავშირზე, ცეკავშირის ხე-ტყის ბაზაზე, მონადირეთა კავშირზე და სხვ.

რამდენიმე წლის წინათ კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა ქარელის რაიონის სოფელ კლდუს კოლმეურნეობას ჭიგოს საფასურად და დასამზადებლად მისცეს 41.000 მანეთი, მაგრამ შემდეგ ამ საქმეს ყურადღება აღარ მიაქციეს. ამიტომ აღნიშნულ კოლმეურნეობაზე ახლაც ირიცხება 30.600 მანეთი. მნიშვნელოვანი რაოდენობით ირიცხება თანხები აგრეთვე ნორიოს, მარტყოფის, თელეთის, წალასყურის და სხვა კოლმეურნეობებზე. დიდი თანხები ირიცხება სოღანლუღის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ყოფილ თავმჯდომარეზე, ამავე კოლმეურნეობის ყოფილ მოანგარიშეზე და სხვებზე, მაგრამ მათ პასუხს არავინ სთხოვს.

კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა სხვადასხვა პირებს უკანონოდ ჩამოაწერეს მათ მიერ მიღებული პროდუქტები და ფული, სულ 124.767 მანეთის რაოდენობით. მათვე კოლმეურნეობის სალაროდან შინა აქტებით და მიმღებთა ვინაობის უჩვენებლად უკანონოდ გასცეს ... ოთხეულ ... ბერებს ჩამოაწერეს 27.130 მანეთი.

კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა დატშვეს საზოგადოებრივი მიწების გაფიავებაც. სხვადასხვა პირებზე და არაკოლმეურნეებზე საერთო კრების დაუკითხავად გასცეს 4.500 კვადრატული მეტრი მიწა. 1950 წლის დეკემბრის ბოლოს გეგმის შესრულების ჩვენების მიზნით, თვალისასახვევად ფერმებისათვის შეიძინეს 272 ფრთა ბატი და ინდაური, რაც 10 დღის შემდეგ ისევ გაყიდეს.

მაშინ როცა კოლმეურნეობაში ათასზე მეტია მუშა, მათ შორის ბევრი ისეთი, რომელსაც კარგად ეხერხება საკოლმეურნეო წერტილში მუშაობა, დამსახურებული აქვს ავტორიტეტი და ნდობა, აქ წერტილში არაკოლმეურნეები მოაწყეს, შემდეგ კი, კოლმეურნეთა მასების უკმაყოფილების გამო, ისინი კოლმეურნეობის წევრებად „გადაფორმეს“. წერტილში ამორგად მოწყობილი არიან ს. კარაკოზოვი, მ. მიკირტუმოვი, ს. მიკირტუმოვი.

კოლმეურნეობაში სხვა ნაკლოვანებები და დამახინჯებაც არის. ყოველივე ამის შესახებ სიგნალები მიიღო „კომუნისტის“ რედაქციამაც. ადგილზე შემოწმებით მამხილებელ წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. ამის შედეგად კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. კირეულიშვილი და ბუხპალტერი ა. ათახელიშვილი მოხსნეს თანამდებობიდან.

მაგრამ, როგორც ჩანს, მარტო ამ ღონისძიებებმა საქმეს ვერ უშველა. კოლმეურნეობაში კვლავ არის ჩამორჩენა და ნაკლოვანებები. მოუგვარებელია შრომის დისციპლინა. მთელი რიგი შრომისუნარიანი კოლმეურნეები არათუ სამუშაოზე არ გამოდიან, არამედ ბრიგადებშიც არ ითვლებიან. ბევრი მუშაობას გვიან იწყებს და მალე ანებებს თავს. თიმქმის მაისამდე გაჭიანურდა რამდენიმე ათასი ძირი ხეხილის დარგვა, რაც ძირითადად გასული წლის შემოდგომაზე უნდა გაეშენებინათ. დაგვიანდა ბოსტნეულის მოსავლის აღება. ნაკთლულის საკოლმეურნეო ბაზის გამგის ი. ღაღანიძის დაუდევრობით დაზიანდა და გადაყარეს 450 კილოგრამი ისპანახი. ცენტრალური საკოლმეურნეო ბაზის გამგე ე. ბარამიძემ 400 კილოგრამი ბოლოკი, ვითომცდა გასაყიდად უვარგისი, ფერმებს ისე გადასცა, რომ აქი არავის გაუფორმებია. კოლმეურნეობაში სათანადოდ არ არის გამოყენებული ორანჟერეები, რომელთა აგება ასეულ ათასობით მანეთი დაჯდა.

კოლმეურნეობის გამგეობა უდარდელობასა და უპასუხისმგებლობას იჩენს დაკისრებული საქმისადმი, ურიგდება ნაკლოვანებებს, სათანადო ყურადღებას არ აქცევს საკოლმეურნეო წესდების მტკიცედ დაცვას.

პარტიის გარეუბნის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი უფრო მეტად უნდა დაინტერესდნენ სოღანლუღის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მდგომარეობით და გადამჭრელი ზომები მიიღონ მის კვლავ ჩასაყენებლად მოწინავეთა რიგებში.

ტ. თოდრაძე

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

წერილი მოსკოვიდან

თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლის ჩვენი გამოცდილება

ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველთვის მიგვითითებდნენ და ამჟამადაც მიგვითითებენ პროდუქციის თვითღირებულების შემცირების აუცილებლობაზე. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაში გამოხატულებას პოულობს ჩვენი მრეწველობის ყველა საწარმოო მაჩვენებლის შესრულებისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის შედეგები.

მოსკოვის ლენინის ორდენოსან ფეხსაცმლის ფაბრიკა „ბურევესტნიკის“ სტახანოველი ნოვატორების გამოქმედელ მარიამ ლევჩენკოს, გადამჭიმავ გრიგოლ შუხანოვის და ბუხჰალტერ პრასკოვია ზავადსკაიას შესანიშნავ პატრიოტულ თაოსნობას, რომლებმაც გასული წლის აგვისტოს დასაწყისში წინადადება წამოაყენეს დაწყებულ იქნას სოციალისტური შეჯიბრება თვითეულ საწარმოო ოპერაციაზე თვითღირებულების შემცირებისათვის, დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა ამ ნოვატორთა პატრიოტულ წამოწყებას და მათ სტალინური პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება მიაკუთვნა.

„ბურევესტნიკის“ ნოვატორთა თაოსნობამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა ჩვენი ქვეყნის მრავალ საწარმოში, აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. უკანასკნელ თვეებში სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკიდან ფაბრიკას ეწვია მრეწველობის სხვადასხვა დარგის 600-ზე მეტი საწარმოს რამდენიმე ათასი წარმომადგენელი, რათა შეესწავლათ და გადაეღოთ თვითღირებულებისათვის შეჯიბრების ორგანიზაციის ჩვენი გამოცდილება. გარდა ამისა ფაბრიკა ყოველდღე მრავალ წერილს იღებს ჩვენი ქვეყნის მშრომელებისაგან, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთისა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნების საწარმოთა კოლექტივებისაგან.

ჩემი წერილის მიზანია საქართველოს სსრ საწარმოთა კოლექტივებს გავუზიარო გამოცდილება, თუ როგორ არის მოწყობილი შეჯიბრება თვითეულ საწარმოო ოპერაციაზე თვითღირებულების შემცირებისათვის ფაბრიკა „ბურევესტნიკში“, სადაც ეს თაოსნობა წარმოიშვა.

ფაბრიკაში ოთხი ათასამდე მუშა ყოველთვიურად იღებს ინდივიდუალურ სოციალისტურ ვალდებულებას თვითღირებულების შემცირებისათვის და იბრძვის მისი შესრულებისათვის. ინდივიდუალურ სოციალისტურ ვალდებულებას მუშები იღებენ ახალი თვის დასაწყისის პირველ დღეებში. სანამ ასეთი ვალდებულება გაფორმდებოდეს, ბრიგადირი ან უბნის ოსტატი თვითეულ მუშას აცნობს მიმდინარე თვის საწარმოო გეგმას, აგრეთვე განვლილი თვის გეგმისა და სოციალისტური ვალდებულების შესრულების შედეგებს. ამის შემდეგ, ითვალისწინებს რა თავის შესაძლებლობას, თვითეული მუშა კისრულობს კონკრეტულ ვალდებულებას—შეამციროს თვითღირებულება თავისი საწარმოო ოპერაციის თვითეულ ელემენტზე.

დავასახელებ რამდენიმე მაგალითს, თუ როგორ არის მოწყობილი შეჯიბრება ფაბრიკის საგამომჭრელო საამქროში, სადაც მუშაობს სტალინური პრემიის ლაურეატი ამხ. მ. ლევჩენკო. იგი დამახასიათებელია სხვა საამქროებისთვისაც. მაგალითად, გამომჭრელმა ამხ. პაიგანკოვმა გასული წლის დეკემბერში იკისრა შეემციროებინა თვითღირებულება 6.700 მანეთით, ფაქტიურად შეამცირა 6.966 მანეთით. იანვარში მან უფრო გადიდებული ვალდებულება იკისრა, ვიდრე წინა თვეში და მიაღწია თვითღირებულების შემცირებას 7.000 მანეთით. მეორე გამომჭრელმა ამხ. გოლიკოვმა დეკემბერში მოგვცა თვითღირებულების შემცირება 2.078 მანეთით, ხოლო იანვარში — 2.360 მანეთით. სულ უფრო გადიდებულ ვალდებულებას კისრულობს და ასრულებს გამომჭრელი ამხ. ეპშტეინი. მაგალითად, ნოემბერში მან სახელმწიფოს დაუზოგა 9.115 მანეთი, დეკემბერში — 9.914, ხოლო იანვარში — 10.392 მანეთი.

გარდა ინდივიდუალური ვალდებულებებისა, ყოველთვიურად იღებენ ვალდებულებას ბრიგადებიც. მაგალითად, პ. ოსიპენკოს სახელობის ბრიგადამ, რომელიც 11 კაცისაგან შედგება, ნოემბერში თვითღირებულება შეამცირა 38.677 მანეთით, დეკემბერში — 42.056, ხოლო იანვარში—45.176 მანეთით. ხშირად მუშები თუ ბრიგადირები, როდესაც ვალდებულებას კისრულობენ, ოსტატს ან საამქროს ხელმძღვანელობას უყენებენ გარკვეულ მოთხოვნებს, რომ მათ მუშებს შეუქმნან მუშაობის პირობები ვალდებულების გასანაღდებლად, აგრეთვე შეაქვთ წინადადებანი თუ რა უნდა გაკეთდეს ამა თუ იმ სამუშაო ადგილზე ნაკისრი ვალდებულების საუკეთესოდ შესრულებისათვის.

ნაკისრი ვალდებულების შესრულების საუკეთესო მაგალითს იძლევა თვით შეჯიბრების ინიციატორი მ. ლევჩენკო. მან შეჯიბრების დაწყებიდან, ესე იგი აგვისტოდან იკისრა წლის ბოლომდე შეემციროებინა თვითღირებულება 34 ათასი მანეთით. არ იყო არც ერთი თვე, რომ მას ვალდებულება არ შეესრულებინოს. ხუთ თვეში მან მასალების მომჭირნედ გამოყენებით, გეგმების გადაჭარბებით და საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვებით 34 ათას მანეთზე მეტით შეამცირა თვითღირებულება. ამასთან მის მიერ გამოშვებული მთელი პროდუქცია მუდამ პირველხარისხოვანია.

სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში მუშებს აქტიურად ეხმარებიან ინჟინერ-ტექნიკოსები. მაგალითად, ინჟინერ-ტექნოლოგმა ამხ. ეზერსკიმ რაციონალიზატორული ღონისძიება განახორციელა სასპორტო ფეხსაცმლის გამოჭრის ტექნოლოგიაში. მანვე გააკეთა ტყავის რაციონალური გამოჭრის თვალსაჩინო რუკა. იგი, ისე, როგორც სტახანოველი ამხ. კუზნეცოვა უშუალოდ სამუშაო ადგილზე ასწავლის მუშებს, თუ როგორ გამოიყენონ ტყავის განფენის მის მიერ რეკომენდებული კომბინაცია. ინჟინერ ეზერსკის ღონისძიებამ არა მარტო უზრუნველყო 75 ათას მანეთზე მეტი ღირებულების მასალების ყოველწლიური ეკონომია, არამედ ხელი შეუწყო საამქროს გაედიდებინა შრომის ნაყოფიერება სამუშაოს ამ ჯგუფზე სულ მცირე 20 პროცენტით. აქედან, მოწინავე სტახანოველისა და ინჟინრის მჭიდრო თანამეგობრობა გამომჭრელთა დიდ ჯგუფს დაეხმარა იმაში, რომ თვითეულ მუშას გამოჭრა საშუალოდ მოცემულ ჯგუფში გაედიდებინა 140-დან 190-200 წყვილამდე.

ფაბრიკა „ბურევესტნიკში“, ისე როგორც ფეხსაცმლის სხვა საწარმოებში, მრავალი წლის მანძილზე ფეხსაცმლის ძირითადი სასარჩულე ქსოვილის გამოჭრა წარმოებდა ლენტურ მანქანაზე. ყოველთვე იჭრებოდა ათეულათასობით მეტრი ქსოვილი. ლენტურ მანქანებზე შეუძლებელი იყო ქსოვილის რაციონალური გამოყენების მიღწევა. ჩაებნენ რა შეჯიბრებაში პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, საამქროს ინჟინერ-ტექნიკოსებმა ამხ. ბელიკოვმა, ეზერსკიმ და ალექსეევმა ქსოვილის გამოჭრა, ნაცვლად ლენტური მანქანისა, განახორციელეს მანქანა „იდეალზე“, ამასთან მუშებს შეასწავლეს ქსოვილის გამოჭრის მათ მიერ შემუშავებული მეთოდი. ამ ღონისძიებამ ფაბრიკას საშუალება მისცა ათასობით მეტრი ქსოვილი დაეზოგა.

ფაბრიკაში 1.200-ზე მეტი მუშა გაერთიანებულია საუკეთესო ხარისხის 94 ბრიგადაში. ურთიერთისადმი დახმარება, მუშაობის საუკეთესო სტახანოვური მეთოდების ერთმანეთისათვის გადაცემა, ჩამორჩენილ მუშებზე საზოგადოებრივი ზემოქმედება მთავარია ამ ბრიგადების შეჯიბრებაში. ყოველივე ამით მარტო საგამომჭრელო საამქროში, სადაც 14 ბრიგადაა, 7 ბრიგადამ მოიპოვა პირველობა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ამხ. რომაშოვის, ბარანოვის და პუპუკინის ბრიგადებმა გასული წლის უკანასკნელ კვარტალში თვითეულმა ასი ათასზე მეტი მანეთით შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება.

ძველი, მრავალი წლის სტაჟის მქონე მუშები თავიანთ გამოცდილებას გადასცემენ ახალგაზრდა მუშებს. დასვენების დროს მოწინავე სტახანოველები საუბრებს აწყობენ და მოუთხრობენ მუშებს, თუ როგორ აღწევენ ისინი თავიანთ საწარმოო ოპერაციაზე თვითღირებულების შემცირებას. ამ საუბრებში ინჟინერ-ტექნიკოსებიც მონაწილეობენ.

ნოვატორების მ. ლევჩენკოსა და გ. მუხანოვის წამოწყებულ საქმეში აქტიურად მონაწილეობენ ფაბრიკის ტექნიკოსები, რომლებსაც მანქანების რემონტთაშორისი მუშაობის გახანგრძლივებით თავიანთი წვლილი შეაქვთ თვითღირებულების შემცირებაში.

ახალმა თაოსნობამ უჩვეულოდ აამაღლა ბუხჰალტერებისა და საანგარიშო დარგის ყველა მუშაკის, როგორც სოციალისტური შეჯიბრების აქტიური მონაწილის როლი. ამ საქმეში შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინა ფაბრიკის მეოთხე სამკერვალო საამქროს უფროსმა ბუხჰალტერმა პ. ზავადსკაიამ. მან საანგარიშო დარგის ყველა მუშაკს მოუწოდა გაეცნოთ მუშებისათვის თავიანთ ოპერაციებზე თვითღირებულების შემცირებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი და თვითეულ საწარმოო ოპერაციაზე ინდივიდუალური სოციალისტური ვალდებულების შესრულების აღრიცხვის წარმოება. ნოვატორი ბუხჰალტრის მოწოდებას მხარი დაუჭირა ფაბრიკის საანგარიშო დარგის ყველა მუშაკმა, მგეგმავებმა და ნორმადადგენმა. საანგარიშო დარგის მუშაკებმა ყველა მუშას განუმარტეს თვითეული საწარმოო ოპერაციის საგეგმო თვითღირებულება და შეიმუშავეს ინდივიდუალურ ვალდებულებათა შესრულების აღრიცხვა. ბუხჰალტრები ეწევიან აგრეთვე პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისა და მასალების ეკონომიისათვის მუშების მიერ ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების აღრიცხვას. თვის დამთავრებისას მუშათა პირად ბარათებში აჯამებენ შედეგებს ცალკეული მუხლების მიხედვით. თვითეული შეჯიბრებულისათვის შემოღებულია პირადი ანგარიში, სადაც შეაქვთ სოციალისტური ვალდებულების შესრულების შედეგები. საამქროში თვალსაჩინო ადგილას აკრავენ თვითეული მუშის შეჯიბრების შედეგებს. საანგარიშო დარგის მუშაკები დიდ მუშაობას ეწევიან აგრეთვე მუშებისათვის თვითღირებულების საკითხების გასაცნობად. მოკლევადიან სკოლებში ყველა მუშამ შეისწავლა თვითღირებულების საკითხი.

შეჯიბრებაში თვითეული მუშის, ინჟინერ-ტექნიკოსისა და მოსამსახურის აქტიური მონაწილეობა იმის შედეგია, რომ ფაბრიკის და საამქროების პარტიული ორგანიზაცია სათავეში უდგას შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობას, საორგანიზაციო-მასობრივი და ინდივიდუალურ-აღმზრდელობითი მუშაობის ყველა ფორმას უკავშირებს ბრძოლას თვითღირებულების შემცირებისათვის. ყოველთვიურად საამქროებსა და ბრიგადებში ეწყობა საწარმოო თათბირები, სადაც აჯამებენ გასული თვის შეჯიბრების შედეგებს, ავლენენ ნაკლოვანებებს, რომლებიც ხელს უშლის სოციალისტური ვალდებულების შესრულებას. პროფკავშირული და პარტიული აქტივი ყოველთვის აქტიურად მონაწილეობს ამ თათბირებში.

გამომჭრელების მიერ თვითეული დეციმეტრი ტყავის ეკონომიის ანგარიშზე ფაბრიკამ დაზოგა 6 მილიონამდე კვადრატული დეციმეტრი საზედაპირე და 30 ტონაზე მეტი საძირე ტყავი და დანაზოგი ნედლეულით შარშან დამატებით შეკერა 247 ათასი წყვილი ფეხსაცმელი.

თვითეულ საწარმოო ოპერაციაზე პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის გაჩაღებული შეჯიბრების შედეგად თვითღირებულების შემცირებამ შეჯიბრების დაწყებიდან შვიდი თვის განმავლობაში ოთხ მილიონ მანეთზე მეტი ეკონომია შეადგინა.

ახლა ფაბრიკაში ფართოდ არის გაჩაღებული შეჯიბრება მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მოწინავე საწარმოთა მიერ მარტის დასაწყისში დიდი სტალინისათვის მიცემული პირობის გასანაღდებლად. ფაბრიკამ იკისრა წელს გეგმასთან შედარებით ორი პროცენტით შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება, დაზოგოს სულ მცირე 3 მილიონი კვადრატული დეციმეტრი საზედაპირე და 30 ტონა საძირე ტყავი, წლიური გეგმა შეასრულოს 20 დეკემბრისათვის.

ის, რასაც მივაღწიეთ ფაბრიკა „ბურევესტნიკში“, შეიძლება მიღწეულ იქნას ყველა დიდ და მცირე საწარმოში

ფელეტონი

ბილიარდის მოთამაშენი...

იანვრის სუსხიანი საღამო იყო... შევდივარ ალ. ჯაფარიძის სახელობის სახელმწიფო სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. სიჩუმეა. ბიბლიოთეკარი ქალი რატომღაც გაფითრებული. მკითხველებიც გაქვავებულებივით დგანან მაგიდასთან და ერთმანეთს შეჭყურეტენ. მათ შორის ერთი ჩემი ძველი ამხანაგი აღმოჩნდა. ვკითხე, რა მოხდა-მეთქი. მან თავი ასწია, ოდნავ გაიღიმა და მიპასუხა: „ომი დამთავრდა, გადავრჩით“.

მდგომარეობის გარკვევის შემდეგ სხვა მკითხველებთან ერთად გადავწყვიტე მომხდარი „ომისა“ და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ მეცნობენა გაზეთ „კომუნისტისათვის“.

და აი 1952 წლის 31 იანვარს გაზეთმა დაბეჭდა შენიშვნა სათაურით: „ბიბლიოთეკის მუშაობას საბილიარდო აფერხებს“. ხოლო „ომის“ ისტორიას, რაც მკითხველისათვის ალბათ საინტერესოა, სამართლიანი კვალიფიკაცია მისცა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის ბიურომ. „...ბილიარდი,—აღნიშნავს რაიკომის ბიურო,—გადაქცეულია აზარტულ სათამაშოდ. საბილიარდოში ხდება ხულიგნობა, ჩხუბი, სროლა, ...“...

ამოვისუნთქეთ მკითხველებმა. პარტიის რაიკომის ბიურომ ბიბლიოთეკის ქვემო სართულში მოთავსებული საბილიარდო დახურა. ბიბლიოთეკის მუშაობას გასაქანი მიეცა, მკითხველთა წრე გაფართოვდა. მაგრამ... ფარხმალი როდი დაყარეს საბილიარდოს „გულშემატკივრებმა“, სწორედ აზარტული გატაცებით დაიწყეს ბრძოლა დაკარგული „შემოსავლის“ აღსადგენად.

— ბილიარდის ჯოხის პირველი დარტყმის „შემოსავლების“ ბურთი სასტუმრო „რუსთავის“ დირექტორ მექვაბიშვილის ბადეში! — პირველად ასეთი იყო ბილიარდის მოთამაშეთა დევიზი.

არ გასჭრა, კუთხეში მოხვდა და უკუიქცა!

— ორმაგი დარტყმა — დირექტორისა და თბილისის საბჭოს აღმასკომის სახელით. ამჯერად ბურთი ბადეში აღმოჩნდა. ხოლო რა აღმოჩნდა ბილიარდის მოთამაშეთა „გულშემატკივარი“ ადამიანების ხელში, ეს ჯერჯერობით გამოურკვეველია. ფაქტი კია, რომ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1952 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება № 1267 (რომლის ტექსტი მოგვყავს უცვლელად) არაფერს ზოგავს (და რა გასაკვირველია ბიბლიოთეკა არ დაზოგოს) იმისათვის, რომ ბიბლიოთეკის ქვემო სარდაფში აღდგეს საბილიარდო, „სადაც სისტემატურად ხდება ხულიგნობა, ჩხუბი, სროლა, ცემა“. „... საბილიარდო მუშაობის (!) შეწყვეტის გამო სასტუმროს შემოსავლები (!),—ვკითხულობთ თბილისის საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებაში, — არ ფარავენ მის საექსპლოატაციო ხარჯებს... დაევალოს სასტუმრო „რუსთავის“ დირექტორს ამხ. მექვაბიშვილს: ა) აღადგინოს საბილიარდოს მუშაობა მ/წლის 20 აპრილიდან: საბილიარდოს მუშაობის ხანგრძლიობა განისაზღვროს 12 საათიდან 24 საათამდე, დააწესოს მტკიცე კონტროლი სასტუმრო შემოსავლების (!) ზუსტად აღრიცხვაზე; ბ) საბილიარდოში შესასვლელი მოაწყოს სასტუმროს სადარბაზო კარებიდან და უზრუნველყოს მასში (!) სრული წესრიგის დაცვა“.

ბიბლიოთეკა?! რა ვქნათ მკითხველებმა, 12 საათიდან 24 საათამდე ბიბლიოთეკაში წიგნი და გაზეთი ვიკითხოთ თუ ბილიარდის მოთამაშეთა ლანძღვა-გინებასა და ყვირილს ვუსმინოთ სასტუმრო „რუსთავის“ „შემოსავლების“ გადიდებისათვის. ვთქვათ, სასტუმრო „რუსთავის“ დირექციის, მისი თანამესუფრეთა და თანამებოთლეთა გაზრდილი მოთხოვნილება საბილიარდოს შემოსავლამაც ვერ დაკმაყოფილა, მაშინ თბილისის საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელთა აზრით საჭირო ხომ არ იქნებოდა სხვა სახის სათამაშოებიც გამონახულიყო „შემოსავლების“ გასადიდებლად და ამ „დიდი საქმისათვის“ ალ. ჯაფარიძის სახელობის სახელმწიფო სამეცნიერო ბიბლიოთეკის პატარა დარბაზებიც გამოყენებულიყო?

რატომ ივიწყებენ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელები **მკითხველთა გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებებს?**

მშრომელები, ამომრჩევლები მოითხოვენ, რომ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და პირველ რიგში მისი კომუნალური განყოფილების პასუხისმგებელმა მუშაკებმა არსებითად შეიყვარონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები — ბიბლიოთეკები, სამკითხველოები, სკოლები... უფრო მეტად იკითხონ წიგნები, გაზეთები, ჟურნალები... მაშინ, ცხადია, ასე უხეშად არ შელახავენ სახელმწიფო სამეცნიერო ბიბლიოთეკის სახელს, ასე აზარტულად არ გაიტაცებს მათ სულსა და გულს ბილიარდის თამაში „შემოსავლების“ გასადიდებლად.

ბ. ეკალაძე



ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა აითვისა თვითდასაცლელი ავტომანქანების წარმოება. **სურათზე:** ქარხნის მიერ მაისის პირველ დღეებში გამოშვებული მანქანები.

ფოტო ი. საკუნისა

ფაბრიკაში მუშაობა უნდა გაძლიერდეს

ხალიჩების საქსოვი ფაბრიკა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწარმოა ქალაქ ცხაკაიაში. მართალია, ფაბრიკის კოლექტივი ასრულებს პროდუქციის გამოშვების გეგმებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფაბრიკაში ყველაფერი რიგზე როდია. საშუალო მაჩვენებლებს მიღმა იმალება მთელი რიგი ნაკლოვანებანი, რომლებიც სერიოზული მსჯელობის საგანი არ გამხდარა. პირველ კვარტალში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა ფაბრიკამ 103,5 პროცენტით შეასრულა. თითქოს არა უშავს რა, მაგრამ მისი „საიდუმლობა“ მარტივია: გეგმის მიხედვით ფაბრიკას უნდა გამოეშვა შვიდი ასორტიმენტის ფიანდაზი (იატაკის გრძივი ხალიჩა), რომელთა ფასი სხვადასხვაა. მაღალი ფულადი მაჩვენებლებისათვის რომ მიეღწიათ, ძირითადად დაამზადეს მაღალფასიანი კამვოლური ფიანდაზი. ამით შესრულდა საერთო ფულადი გეგმა, ნატურალური კი მხოლოდ 95,2 პროცენტით. ფაბრიკამ შეგნებულად დაარღვია ასორტიმენტი, სახელმწიფოს დააკლო პროდუქცია.

ფაბრიკაში დაბალხარისხოვნად შესრულდა მანქანა-დანადგარების რემონტი, რის გამო იგი ხშირად ცდება. არა აქვთ ისეთი აუცილებელი სათადარიგო ნაწილები, როგორიც არის მაქოს კოლოფები, ექსცენტრიკები და სხვ. ფაბრიკაში განმტკიცებული არ არის შრომის დისციპლინა. მქსელავი ა. კლიმოვა, მქსოველები მ. ოდიშარია, ნ. ქავთარაძე და სხვები არ იცავენ ფაბრიკის შინაგანაწესს, მაგრამ მათ პასუხს არავინ სთხოვს.

დიდია მისაქსელი ნართის დანაკარგები. ეს წვრილმანი დატაცებითაც არის გამოწვეული. ბევრი მუშა იგვიანებს სამუშაოზე, არ ასრულებს დღიურ დავალებებს.

აღსანიშნავია, რომ როგორც პარტიის ცხაკაიას რაიონული კომიტეტი, ისე საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო ქმედითად არ ეხმარებიან ფაბრიკას. სამინისტროს განკარგულებით თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკას ცხაკაიაში უნდა გამოეგზავნა შალეულის 3 ტონა გრეხილი ნართი, მაგრამ გამოგზავნა დაუგრეხავი ნართი. ადგილზე დროულად ვერ შეძლეს მისი დაგრეხა, რადგან აქაური ორი საგრეხი მანქანა მაქსიმალურ სამუშაო დროში—3 ცვლაში უშვებს მხოლოდ 130-140 კილოგრამამდე გრეხილ ნართს. აპრილის მეორე დეკადაში ნართის უქონლობის გამო სრულებით არ გამოუშვიათ ბამბის ფიანდაზი № 12/6. ამ ნომრის ნართი აქ მხოლოდ 24 აპრილს მიიღეს.

ფაბრიკას სპეციალისტები აკლია. შეუწყნარებლად ხელა მიმდინარეობს ადგილობრივი კადრების მომზადება, სისტემატურად არ ეწყობა მეცადინეობა ტექნიკური მინიმუმის შემსწავლელ წრეებში.

საშუალო მაჩვენებლებით დაკმაყოფილება საქმისათვის საზიანოა. საჭიროა პარტიის ცხაკაიას რაიკომი და მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო ღრმად ჩასწვდნენ ხალიჩების საქსოვი ფაბრიკის მუშაობას, რათა დროზე გამოსწორდეს არსებული ნაკლოვანებანი.

ბ. მილიუტინი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ბოლო მოვუღოთ უყაირათობას წიგნით ვაჭრობის საქმეში

გასულ წელს სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ რამდენიმე სახელწოდების წიგნი გამოსცა. ამ წიგნების საგრძნობი ნაწილი თვეების მანძილზე ხელუხლებლად დევს გამომცემლობის საწყობში.

რაშია საქმე? რატომ არ მივიდა წიგნი მკითხველამდე?

ეს ძირითადად გამოიწვია იმან, რომ წიგნით ვაჭრობის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ („საქწიგნი“) დუმილით აუარა გვერდი სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობის თხოვნას — მიეღო ბაზარზე გასატანად ამ უკანასკნელის მიერ გამოშვებული პროდუქცია.

ბევრი მიწერ-მოწერის შემდეგ გასული წლის მიწურულში სტალინირში ჩამოვიდა „საქწიგნის“ რესპუბლიკური კანტორის დირექტორი ამხ. გოცირიძე. მან სამხრეთ ოსეთის სახელგამს (დირექტორი გ. ჯატიევი) დაუდო ხელშეკრულება, რომლითაც „საქწიგნი“ კისრულობდა 1952 წელს გამოშვებული მთელი პროდუქციის მიღებას სარეალიზაციოდ.

მოსალოდნელი იყო, რომ ამიერიდან მაინც ეზველებოდა წიგნით ვაჭრობის საქმეს — ახალი წიგნი დროზე მიეიდოდა მკითხველამდე. ამაზეც მიუთითებდა ამხ. გოცირიძის მიწერილობა (1952 წ. 4 მარტი) „საქწიგნის“ სტალინირის მაღაზიის გამგის ს. მამისთვალოვის მიმართ. „თანახმად ხელშეკრულებისა, — სწერდა გოცირიძე მამისთვალოვს, — თქვენ ვალდებული ხართ მიიღოთ სამხრეთ ოსეთის გამომცემლობისაგან მთელი პროდუქცია შესაბამისად დამტკიცებული თემატური გეგმისა. მიღებული რაოდენობიდან ნაწილი წიგნებისა უნდა გასცეთ სამხრეთ ოსეთის სამომხმარებლო კოოპერაციაზე, მათი ოფიციალური მოთხოვნილების თანახმად“.

„საქწიგნის“ სტალინირის მაღაზიის გამგემ ს. მამისთვალოვმა სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ წელს გამოშვებული პროდუქციიდან მხოლოდ ერთი - სახელწოდების წიგნები შეიძინა და საქმე დამთავრებულად ჩათვალა.

მაღაზია უუნარობას იჩენს წიგნით ვაჭრობაში. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ მასობრივი მოხმარების საქონელზე ფასების ახალი შემცირების შესახებ წიგნით ვაჭრობის საუკეთესოდ დაყენების ფართო შესაძლებლობა შექმნა. მკითხველს სურს შეიძინოს რაც შეიძლება მეტი და კარგი წიგნი, დაიკმაყოფილოს სულიერი მოთხოვნილება.

მაგრამ საოცარი ის არის, რომ „საქწიგნის“ სტალინირის მაღაზიაში არც წიგნებზე ფასების დაკლების შემდეგ გაუმჯობესებულა საქმე. აქ ძველებურად განაგრძობენ მუშაობას. სეროიზული საქმე მინდობილი აქვთ უუნარო ადამიანებს. წიგნით მოვაჭრეებმა ხშირად ისიც კი არ იციან, მაღაზიას რა წიგნები აქვს სარეალიზაციოდ. წიგნი მაღაზიის თაროზე დევს, მომხმარებელს კი უუბნებიან:

— ახალი წიგნი არ მიგვიღია, არა გვაქვს.

მაღაზიაში სრ არის ცალკე განყოფილება, სადაც მომხმარებელს შეეძლება შეიტყოს, თუ რა ახალი წიგნები მიიღო მაღაზიამ. ზედმეტია ლაპარაკი მკითხველებთან კავშირის გაფართოების მრავალი სხვა შესაძლებლობის გამოყენებაზე (აქტივის ჩაბმა მუშაობაში, მყიდველებისათვის სარეკლამო კატალოგების გაგზავნა, მათთან მიმოწერა, გამოფენების მოწყობა და სხვ.).

... და ასე ათასობით წიგნი აწყვია გამომცემლობის საწყობში. სამხრეთ ოსეთის სახელგამის მიერ გამოშვებული წიგნების გატანას ბაზარზე უხალისოდ ეკიდებიან აგრეთვე სამხრეთ ოსეთის საოლქო სამომხმარებლო კავშირის მუშაკები.

დროა ბოლო მოვუღოთ მოუქნელობას და უყაირათობას წიგნით ვაჭრობის საქმეში.

ვლ. გელაშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ერთი უხეირო ლექციის შემდეგ“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 10 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა კორესპონდენცია, რომელშიც გაკრიტიკებული იყო საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ლექტორის ა. სახურიას მიერ ტყიბულში წაკითხული ლექციები.

საზოგადოების გამგეობა რედაქციას ატყობინებს, რომ შემოწმებით კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. საზოგადოების პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე განიხილა ეს საკითხი და არაკეთილხარისხოვანი ლექციის წაკითხვისათვის ამხ. ა. სახურიას გაფრთხილება მისცა. საზოგადოების ტყიბულის რაიონული განყოფილების გამგეობას მიეთითა მომავალში არ დაუშვას მოუმზადებელ აუდიტორიაში ლექციის წაკითხვა.

ახალგაზრდა მშენებელთა ტექნიკური სწავლება

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის კაპიტალური მშენებლობის სამმართველომ ახალგაზრდა მშენებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩამოაყალიბა მებეტონეთა, მეარმატურეთა და კალატოზთა ტექნიკური სწავლების ჯგუფები. ახალგაზრდა მშენებლები ეუფლებიან მუშაობის მოწინავე სტახანოვურ მეთოდებს, სამშენებლო მექანიზმებისა და იარაღების რაციონალური გამოყენების ჩვევებს, სწავლობენ მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებისა და ტექნიკური უსაშიშრობის წესების დაცვას.

ახალგაზრდა მშენებელთა ტექნიკურ სწავლებას ხელმძღვანელობს სამმართველოს მთავარი ინჟინერი შ. რევიშვილი.

სტუდენტებისა და მუშების შემოქმედებითი შეხვედრა

პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბის ხელმძღვანელებმა კარგი ინიციატივა გამოიჩინეს: 15 მაისს მოაწყეს თბილისის ერთ-ერთი ძველი, დიდი რევოლუციური ტრადიციების მქონე საწარმოს — სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშების შეხვედრა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობასთან.

შეხვედრაზე სტუდენტებს სიტყვებით მიმართეს და თავიანთი მიღწევები გააცნეს სტახანოველმა მუშებმა ჭუმბურიძემ და მიქაძემ, ინჟინერ-ტექნიკოსთა წარმომადგენელმა გ. კაკაკაშვილმა. უნივერსიტეტის სტუდენტთა კოლექტივიდან სიტყვები წარმოთქვეს სტუდენტებმა ურუშაძემ და ებანოიძემ.

შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სტუდენტთა სიმფონიურმა ორკესტრმა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ა. ნასიძის დირიჟორობით, პლეხანოვის კლუბთან არსებულმა ქართული სიმღერისა და ცეკვის მუშათა ანსამბლმა და სტუდენტთა და მუშათა თვითმოქმედმა წრეებმა.

მზადება გამოცდებისათვის

ჩვენი რესპუბლიკის სკოლებში 20 მაისიდან დაიწყება გადასაყვანი, გამოსაშვები და სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდები. 1-ლ, მე-2 და მე-3 კლასებში მეცადინეობა შეწყდება 19 მაისს. ამ კლასების მოსწავლეთა შემდეგ კლასებში გადაყვანა წლიური ნიშნების მიხედვით მოხდება.

გამოცდებისათვის მზადებასთან დაკავშირებით თბილისისა და ქუთაისის ოლქებში, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარდა განათლების განყოფილებათა გამგეების თათბირი.

განათლების სამინისტრომ გამოსცა და სკოლებს დაუგზავნა საგამოცდო ინსტრუქციები და საგამოცდო ბილეთები.

თეატრი

„ძია ვანო“

გრიბოედოვის სახელობის თეატრში

„აი მწერალი, რომელზეც ლაპარაკიც კი სასიამოვნოა“, თქვა ლევ ტოლსტოიმ ჩეხოვზე. ჩეხოვის მოთხრობებით მოხიბლული იყო ყველა, მაგრამ მისი პიესები დიდხანს ბევრისათვის გაუგებარი დარჩა.

ჩეხოვის ისეთმა პოეტურმა ქმნილებამ, როგორიც არის „თოლია“, გაუგონარი მარცხი განიცადა ალექსანდრეს თეატრში. დრამატიზმით აღსავსე სცენებს დარბაზი ცარხარით და სტვენით ხვდებოდა. ხითხითმა, დამცინავმა ხმებმა გული მოუკლა ავტორს.

რა იყო ა. ჩეხოვის ასეთი მარცხის მიზეზი? ნოვატორს ვერ გაუგეს, ახალი გზების მაძიებელს ვერ [illegible] უხვდნენ.

„ახალი ფორმებია საჭირო, ახალი ფორმები“,—იძახის ჩეხოვის პიესის გმირი კონსტანტინე ტრეპლიოვი, და ეს ფორმა გაუგებარი იყო ბევრისათვის. ა. ჩეხოვის წერილებში ვპოულობთ იმ ახალი ფორმის ახსნას, რომელსაც ამკვიდრებდა სცენაზე დრამატურგი. „ეროდი მაღალფარდოვან სიტყვებს, ენა უნდა იყოს უბრალო და ლამაზი“, სწერდა ა. ჩეხოვი თავის ძმას ალექსანდრეს. ამას ასრულებდა დრამატურგი. მის პიესებში ვერ ნახავთ ნატიფ გამოთქმებს. „სიუჟეტი უნდა იყოს ახალი...“ — განაგრძობდა ა. ჩეხოვი და იცავდა ამ ცნებას. არაფერი არ უნდა იყოს შემთხვევითი, ყოველ ნივთს სცენაზე თავისი დანიშნულება უნდა ჰქონდეს. ამბობდა ა. ჩეხოვი და ამას ნათლად ადასტურებდა ლაკონიური თქმით:

„თუ პირველ მოქმედებაში სცენაზე დაკიდეთ დამბაჩა, უკანასკნელ აქტში ეს დამბაჩა უნდა გავარდეს, უამისოდ ნუ ჩამოკიდებთ მას“.

დრამატურგი ადამიანის შინაგანი სამყაროს გამოვლინებას აქცევდა მთელ თავის ყურადღებას და ამისათვის არავითარ გარეგნულ ხერხებს არ იყენებდა, რაც ერთი შეხედვით თითქოს მოქმედებას ადუნებდა, მაგრამ სამაგიეროდ დიდ განწყობილებას ქმნიდა, თუ გიტარის ნელი აკორდით, ძია ვანოს ცრემლებით თავდება სპექტაკლი, და მოჯადოებული მსმენელიც ცრემლად იფრქვევა. გებრალებათ უიმედოდ შეყვარებული ძია ვანო, ულამაზო სონია, მოხუცი ტელეგინი, გეცოდებათ უცნაური ექიმი ასტროვი. ისინი ხომ ძველი, უკეთესმართი ცხოვრების შვილები არიან, ჭაობში ჩაფლულნი, სულის შემხუთავ ატმოსფეროში მყოფნი. ეს სიბრალული გამოწვეულია იმით, რომ დრამატურგთან ერთად არ მოგწონთ ის გარემო, ის მოჯადოებული წრე, რომელშიც მოქცეულან ეს ადამიანები. გინდათ თავი დაანებონ ამ ჭაობს, და ამაშია ჩეხოვის დრამატურგიის ოპტიმისტური მნიშვნელობა.

„ძია ვანოთი“ აღტაცებული მაქსიმ გორკი ნიჟნი ნოვგოროდიდან (ამჟამად ქალაქი გორკი) სწერდა ავტორს 1898 წლის ნოემბერში: „ამ დღეებში ვნახე „ძია ვანო“. ვნახე და ქალივით ვტიროდი, თუმცა ნერვიული ადამიანი როდი ვარ. ჩემთვის ეს საშინელი ამბავია. „ძია ვანო“ დრამატული ხელოვნების სრულიად ახალი სახეა, ურია, რომელსაც სცემთ საზოგადოებას ცარიელ თავში... თქვენი ნიჭით აღტაცებული ვკანკალებდი ადამიანის ბედით, შეშინებული ვიყავი ჩვენი უფერული ლატაკური ცხოვრებით“. ჩეხოვმა „ძია ვანოში“ მთელი სიცხადით გადაგვიშალა ცარისტული სამყაროს უფერული ცხოვრება. ამიტომაც ამ პიესას დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა ენიჭება.

„ძია ვანოს“ ერთ-ერთი პერსონაჟი ექიმი ასტროვი იძახის: „დანგრეულია ყველაფერი. სამაგიეროდ ჯერ არაფერია შექმნილი“. ასტროვი არ ამთავრებს, რის შექმნა სწადია, მაგრამ ამას მაყურებელი ხვდება, ამას ავტორი გაგრძნობინებს. იმდენად უსიტყვოდ მეტყველებს, რომ არც კი გვჭირდება გავიმეოროთ ამავე დრამატურგის „ალუბლის ბაღის“ პერსონაჟის ტროფიმოვის სიტყვები: „ყაცობრიობა მიისწრაფვის უმაღლესი სიმართლისაკენ, უმაღლესი ბედნიერებისაკენ, რაც კი შესაძლებელია დედამიწაზე... აი ამოდის მთვარე, აი ჩვენი ბედნიერება... თუ ჩვენ ვერ ვიხილავთ მას, ეს არაფერია. სამაგიეროდ სხვები იხილავენ“. ტროფიმოვის პირით ავტორი ლაპარაკობს, ძია ვანოს ცრემლებიც ამას გვამცნობს, ექიმ ასტროვის ოხვრაც ამას გვიდასტურებს. ძია ვანოს მწუხარებით გამოწვეული ცრემლები სიხარულის ცრემლად ხდება. საბჭოთა მაყურებელს უხარია, რომ მთვარეც ამოვიდა და ექიმ ასტროვის ოცნებაც ასრულდა—ძველი დანგრეული ქვეყნის ნაცვლად ახალი აშენდა. დრამატურგის ოცნებას ხორცი შეესხა, უფერული ყოფა სამუდამოდ გაქრა და ახალი, ბედნიერი ცხოვრება დამკვიდრდა.

გრიბოედოვის სახელობის თეატრის წინაშე მეტად საპატიო და თანაც რთული ამოცანა იდგა. საპატიოა აჩვენო მაყურებელს პროზად დაწერილი, განწყობილებით კი ნამდვილი პოეტური ქმნილება. მეტად რთული საქმეა ახლებურად გააშუქო და საკუთარი სიტყვა თქვა იმ ქმნილების განხორციელებისას, რაც უკვე სრულყოფილად არის წარმოსახული და დაკანონებული სახელოვანი სამხატვრო თეატრის მიერ. თეატრს ეს კარგად გაუთვალისწინებია, გაკაფულ გზას გაჰყოლია და ამიტომაც დადებითი შედეგისათვის მიუღწევია.

პიესის დამდგმელს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს რეჟისორ გ. ღვინიაშვილს კარგად შეუგრძვნია პიესის არსი, მისი მომზიდველი ძალა, და მთელი კოლექტივის შემოქმედება ისე წარუმართავს, რომ მაყურებელი სცენაზე მსახიობთა „თამაშს“ კი არა გრძნობს, არამედ ხედავს უბედურ ადამიანთა ნამდვილ ცხოვრებას. რაც მთავარია, შეხმატკბილებულ ანსამბლს არავინ არ ეთიშება და სიმართლეს თითქმის არავინ არ ღალატობს.

მსახიობთა ანსამბლით შექმნილ განწყობილებას ხელს უწყობს მხატვარ ე. დანცოვას გემოვნებით გაფორმებული დეკორაციები. განწყობილების შესაქმნელად სამხატვრო თეატრის ნიჭიერი მხატვარი სიმოვი პირველ მოქმედებაში შემოდგომის პეიზაჟს იძლეოდა. ხის ფოთლების ყვითელი და წითელი ფერები ამის შთაბეჭდილებას ქმნიდნენ, რაც ავტორის განზრახვას არ შეეფერებოდა და რაც თავის დროზე ჩეხოვის იშვიათმა ინტერპრეტატორმა ნემიროვიჩ-დანჩენკომ შეამჩნია. განწყობილება აქ თანდათანობით იქმნება, და ამიტომაც მხატვარ დანცოვას პირველი მოქმედების პეიზაჟი შემოდგომას არ გაგრძნობინებთ, ხოლო შემდეგ თანდათანობით სხვა სურათებში მხატვარი მუქი ფერების საშუალებით აღრმავებს იმ უღიმღამო ცხოვრების შთაბეჭდილებას, რაც ხელს უწყობს პიესის ათვისებას.

პროფესორ სერებრიაკოვის როლს ასრულებს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. სმირანინი. მსახიობს კარგად გაუაზრებია ეს როლი და უნიჭო, ბუზღუნა და მანჭია მოხუცის კოლორიტულ სახეს ქმნის.

უდაოდ მოსაწონია ელენა ანდრეევნას როლში მსახიობი ტ. ბელოუსოვა. ახალგაზრდა, ლამაზი ქალი მოხუცი პროფესორის მეუღლე ხდება. მას, მართალია, არ უყვარდა პროფესორი, არც მისი ქონება იზიდავდა, ცოლად გაჰყვა სერებრიაკოვს მხოლოდ იმიტომ, რომ ეგონა სახელოვანი ადამიანის მეუღლე გახდებოდა. პროფესორის უნიათობა ძალე გამოაშკარავდა, და ხელში შერჩა დაავადებული, მახჭია, ბუზღუნა ეგოისტი ადამიანი. ბელოუსოვა იშვიათი განწყობილებით ქარგავს თავის როლს და ავტორის ჩანაფიქრს ახორციელებს.

ულამაზო, უიმედოდ შეყვარებული, მშრომელი და ფაქიზი სონიას მეტად დამაჯერებელ სახეს ქმნის მსახიობი ი. კირილოვა.

რთულია ძია ვანოს როლი. მშრომელი, ნიჭიერი ადამიანი უფერული ცხოვრების ჭაობშია მოქცეული და თავი ვერ დაუღწევია. სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ განიცადა სიყვარული, და მაშინაც გაწბილებულ იქნა. სასოწარკვეთილებამდე მისული თავის მოკვლაში ხედავს ხსნას, მაგრამ ძლევს ამას და უბრუნდება ყოველდღიურ საქმიანობას. იგი, უეჭველია, ისე გაათავებს ცხოვრებას, რომ არავითარ კვალს არ დატოვებს. მსახიობმა ნ. ყაზორინკოვმა კარგად დაძლია როლი და მაყურებლის ყურადღების ცენტრშია მთელი პიესის მანძილზე. მსახიობი განსაკუთრებულ სიძლიერეს აღწევს ფინალურ სცენაში.

უცაბედია ექიმი ასტროვი, მაგრამ რაოდენი სულიერი სიფაქიზეა ამ ადამიანში. საუკეთესო იდეალებით აღჭურვილი ახალგაზრდა ექიმი იწყებს სოფლად მუშაობას. გავიდა ათი წელი. მოტყდა, ჩაეფლო უფერული ცხოვრების ორომტრიალში, სული ეხუთება, გრძნობს, რომ თანდათანობით ძირს ეშვება, მაგრამ გამოსავალს ვერ ხედავს, მოჯადოებული წრისათვის თავი ვერ დაუღწევია. შვებას მხოლოდ ბუნების წიაღში, ტყეში ხედავს და დროდადრო ალკოჰოლში. „ადამიანში ყოველივე მშვენიერი უნდა იყოს: სახეც, ტანსაცმელიც, სულიც და აზრიც“ იძახის ასტროვი და გრძნობ, რომ ეს ნათელი გონების პიროვნება ძველმა ცხოვრებამ გამოუვალ ჩიხში მოამწყვდია. ყოველი მისი ფრაზა ერუანტელს ჰგვრის ადამიანს.

მეოცნებე ასტროვის მიმზიდველ სახეს ქმნის მსახიობი ვ. სპროგე.

მიუხედავად ანსამბლის სიმტკიცისა, არ შეიძლება განსაკუთრებით არ შევჩერდეთ ილია ტელეგინის როლის შემსრულებელზე, უკრაინის დამსახურებულ არტისტ დ. სლავინზე. „ძია ვანოს“ პერსონაჟების განსახიერებაში პირველობა მას ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვიერი მასალა მსახიობს ყველაზე ნაკლები აქვს. სლავინის თამაშში იგრძნობა დრამატურგის მიერ დიდი სიყვარულით გამოხატული ილია ტელეგინის სახე. ტელეგინი გაღატაკებული მებატონე, სხვის კარზე სამადლოდ ცხოვრობს, მეტად გულუბრყვილო, მომნდობი ადამიანია. მისი კომიზმი ცრემლში ნაღვლით არის ნაღესი. ბოღმას გიტარის დაკვრით იკლავს მოხუცი. დ. სლავინს ისე შეუსისხლხორცებია ეს როლი, ისეთი ბუნებრივია, რომ გავიწყებთ, რომ თეატრში ხართ. უყურებთ და ვერც წარმოგიდგენიათ, რომ ტელეგინი სხვანაირი შეიძლება ყოფილიყო და როგორც სამხატვრო თეატრის სპექტაკლზე „ძია ვანოს“ მაყურებლები იხიბლებოდნენ დაუვიწყარ მსახიობ არტიომის ლირიზმით აღსავსე სიყვარული მოხუცის სახით, ისევე გატკბობთ დ. სლავინის ოსტატურად გამოძერწილი ილია ტელეგინი.

გრიბოედოვის თეატრის მაყურებლის ერთსულოვანი ტაში მოწმობს, რომ როცა თეატრი სწორი გზით წარმართავს თავის მუშაობას, მას ჩეხოვის პიესების განსახიერებისათვის ისევე აღფრთოვანებით შეხვდება საზოგადოება, როგორც ხვდებიან ჩეხოვის პიესების დადგმისას მოსკოვის სამხატვრო თეატრს.

ენთუზიაზმი და სწორი გზით სვლა ყოველი წარმატების საწინდარია.

ა. ბურთიკაშვილი

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 16 მაისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 16 მაისს გამოაქვეყნა ცნობა:

კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან თანამოქმედებით, განაგრძობდნენ რა თავდაცვითს ბრძოლებს, წარმატებით იგერიებდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის იერიშებს და ზარალი მიაყენეს მტერს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ცენტრალურ ფრონტზე ჩხოლვონის რაიონში მოწინააღმდეგემ არტილერიისა და ავიაციის დახმარებით რამდენჯერმე მოიტანა იერიში ჩვენს პოზიციებზე, მაგრამ წაწყდა რა ჩვენი ჯარების წინააღმდეგობასა და კონტრიერიშებს, უკან დაიხია, ამასთან მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვეთა სახით დაკარგა ერთ ოცეულზე მეტი.

კიმხვის აღმოსავლეთით მოწინააღმდეგემ სამჯერ მოიტანა იერიში ჩვენი ჯარების პოზიციებზე, მაგრამ იძულებული გახდა უკან დაიხია, ამასთან მოკლულთა სახით დაკარგა 50-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

სხვა ფრონტებზე განსაკუთრებული ცვლილება არ მომხდარა.

დღეს ჩვენმა საზენიტო ნაწილებმა და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 3 და დაზიანეს ერთი თვითმფრინავი.

კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩავიდა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს კომისია

ფხენიანი, 17 მაისი. (საკდესი). კორეის სახალხოდემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩამოვიდა იმ საერთაშორისო კომისიის წევრთა ჯგუფი, რომელიც აგროვებს იმის დამადასტურებელ მასალებს, რომ ამერიკის ჯარები ირღვევენ ჟენევის 1925 წლის კონვენციას ბაქტერიოლოგიური იარაღის აუცილებლად აკრძალვის შესახებ.

როგორც ცნობილია, ეს კომისია მშვიდობის მსოფლიო საბჭომ შექმნა ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის და მშვიდობის დაცვის ჩინეთის სახალხო კომიტეტის წინადადებით, რომელიც შეტანილ იქნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს ოსლოს სესიაზე.

კომისიის წევრებმა უკვე შეაგროვეს მასალა, რომ ამერიკის ჯარები ბაქტერიოლოგიურ იარაღს იყენებენ ჩინეთში. კომისიის წევრები ამ დღეებში შეუდგებიან მუშაობას იმ ფაქტების დასადგენად, რომ ამერიკის ჯარები ბაქტერიოლოგიურ ომს აწარმოებენ კორეის სახალხოდემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

კორეის ცენტრალური დელეგაციათა საგენერალო კორესპონდენტი პანმინჯონის მოლაპარაკების შესახებ

ფხენიანი, 16 მაისი. (საკდესი). კორეის ცენტრალური დელეგაციათა საგენერალო აქვეყნებს თავისი სპეციალური პანმინჯონელი კორესპონდენტის ინ ჯე ჩუნის ცნობას სათაურით: „კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაში შეთანხმების მიღწევა მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოიქცევა ამერიკის მხარე.“ ცნობაში ნათქვამია:

მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ ჩიხში მოექცა ამერიკის მხარის უგუნური მოთხოვნების გამო. დღემდე მოლაპარაკებაში გადაუჭრელი რჩება სამხედრო ტყვეთა გაცვლის საკითხი. მოწინააღმდეგე მხარეს რომ მიეღო ჩვენი მხარის მიერ 2 მაისს შეტანილი გონივრული წინადადება, შეთანხმება უკვე მიღწეული იქნებოდა. ამერიკის წარმომადგენლები პანმინჯონში მოითხოვენ ეგრეთწოდებულ „ნებაყოფლობითს რეპატრიაციას“, რაც საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევაა, რადგან, ჟენევის კონვენციის თანახმად, საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ ყველა ტყვე დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ და სამშობლოში დაბრუნებულ უნდა იქნას. საეჭვებით აშკარაა, რომ ამერიკის მხარეს „ნებაყოფლობითი რეპატრიაციის“ საბაბით სურს ძალით დააკავოს ჩვენი მხარის ტყვეები და თავისი აგრესიული მიზნებისათვის გამოიყენოს ისინი.

არც ერთი გონივრულად მოაზროვნე ადამიანი არ დაიჯერებს, ნათქვამია შემდეგ ცნობაში, რომ თითქოს ჩვენს ტყვეებს სურთ ნებაყოფლობით დარჩნენ ამერიკელების ხელში, რომლებიც მხეცურად ეპყრობიან ტყვეებს და ხოცავენ მათ.

ამას მოწმობს კუნძულ კოჯედოს ამბები, სადაც ჩვენმა სამხედრო ტყვეებმა არაერთხელ მოახდინეს აჯანყება და ამას წინათ დააკავეს ბანაკის უფროსი ამერიკელი დიდი. ეს შემთხვევა ნათელს ფენს საქმის ნამდვილ მდგომარეობას. ყველა ტყვეს სურს დაბრუნდეს სამშობლოში. ამიტომ ამერიკის მხარემ ხელი უნდა აიღოს თავის უაზრო მოთხოვნაზე, რომელსაც ჯერ მოლაპარაკების დროს უწოდებს „საბოლოო წინადადებას, რაც მთელი გულწრფელობით წამოაყენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების დელეგაციამ“. მაგრამ ფაქტები ცხადყოფენ, რა ფასი აქვს ჯოის „გულწრფელობას“.

დასასრულ ცნობაში ნათქვამია: ახლა საკითხი ასე დგას — თუ ამერიკის მხარე ხელს აიღებს თავის უგუნურ წინადადებაზე, მოლაპარაკებაში მიღწეულ იქნება სრული შეთანხმება, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა მოლაპარაკების უშედეგოდ დამთავრებისათვის ამერიკელებს დაეკისრებათ.

იაპონიაში შეიქმნა მილიტარისტული ორგანიზაცია

ტოკიო, 16 მაისი. (საკდესი). გუშინ გაიმართა იაპონიის შეიარაღების ხელშემწყობი ლიგის დამფუძნებელი კრება. ლიგას მეთაურობს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ხიტოსი ასიდა.

ლიგის შექმნაში მონაწილეობას იღებდნენ ისეთი ცნობილი რეაქციონერები, როგორიც არიან კინოკომპანია „ტოხოს“ ყოფილი პრეზიდენტი ვატანაბე, საგაზეთო კონცერნ „იომიურის“ ყოფილი პრეზიდენტი ბაბა და სხვები.

გერმანიაში მყოფი საბჭოთა საოკუპაციო ჯარების წარმომადგენლის გენერალ-მაიორ ტრუსოვის პროგესი

ბერლინი, 16 მაისი. (საკდესი). 13 მაისს გერმანიაში მყოფი საბჭოთა საოკუპაციო ჯარების ჯგუფის შტაბის უფროსის მოადგილემ გენერალ-მაიორმა ტრუსოვმა გერმანიაში მყოფი ამერიკისა და ინგლისის საოკუპაციო ჯარების შტაბების უფროსთა მოადგილეებს გაუგზავნა წერილები, რომლებშიც აღნიშნა, რომ რამდენიმე დღის წინათ ამერიკელმა და ინგლისელმა ხელისუფლებმა უკანონოდ სცადეს მოეწყოთ შეიარაღებული პატრულირება ბერლინ-მარიენბორნის ავტოსტრადისა, რომელსაც კონტროლს უწევენ საბჭოთა ჯარები. მაგალითისათვის წერილებში მოყვანილია შემთხვევები, რომლებიც მოხდა 9 მაისს, როცა ამერიკისა და ინგლისის სამხედრო პოლიციის მოსამსახურეებმა რამდენჯერმე სცადეს სპეციალურად მოწყობილი ავტომანქანებით წასულიყვნენ დასავლეთ ბერლინიდან ამ ავტოსტრადაზე საპატრულო სამსახურისათვის.

წერილებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ყველა ამ მოქმედებას სჩადიან, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა სარდლობამ უკვე არაერთხელ მიაქცია ამერიკელ და ინგლისელ ხელისუფალთა ყურადღება იმას, რომ შეუწყნარებელია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლების საკონტროლო ფუნქციებში ჩარევის ასეთი ცდები.

დასასრულ გენერალ-მაიორმა ტრუსოვმა აცნობა ამერიკელ და ინგლისელ საოკუპაციო ხელისუფალთ, რომ საბჭოთა სამხედრო პატრულებს მიეცათ მითითება მტკიცედ აღევნონ თვალყური ბერლინ-მარიენბორნის ავტოსტრადაზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის წესების შესრულებას.

როგორც ცნობილია, მარშალ ჟუკოვს (სსრ კავშირი), გენერალ კლეისა (ამერიკის შეერთებული შტატები) და გენერალ უიკსს (ინგლისი) შორის 1945 წლის 29 ივნისის შეთანხმებით ბერლინ-მარიენბორნის ავტოსტრადაზე დასავლეთის საოკუპაციო ხელისუფალთა ავტოტრანსპორტის მოძრაობის წესის შესახებ, დაცულ. რეგულირებასა და საკომენდანტო სამსახურს ამ ავტოსტრადაზე ახორციელებენ მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა სამხედრო ხელისუფალნი. მთელ რიგ სხვა დოკუმენტებში ამერიკელ და ინგლისელ ხელისუფალთ არა ერთხელ დაუდასტურებიათ, რომ ბერლინ-მარიენბორნის ავტოსტრადაზე კონტროლისა და მოძრაობის რეგულირების უფლება ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა სამხედრო ხელისუფალთ. 1950 წელს ამერიკელთა ცდები — უკანონოდ შემოღოთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე გაყვანილი ავტოგზების შეიარაღებული პატრულობა, აგრეთვე გადაჭრით უარყვეს საბჭოთა სამხედრო ხელისუფლებმა.

ამერიკა-ინგლისის ბლოკის მორიგი დამარცხება

ადამიანის უფლებათა საკითხის კომისიაში

ნიუ-იორკი, 16 მაისი. (საკდესი). ადამიანის უფლებათა კომისიის მე-8 სესიამ განიხილა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტის შრომის საკითხთა მუხლების პროექტები, რომლებიც შემდეგ დასამტკიცებლად გადაეცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-7 სესიას. საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა შესწორებანი იმ მუხლებში, რომლებიც ადამიანის შრომის უფლებას ეხება. ადამიანის შრომის უფლებისა და შრომის პირობების საკითხებზე გამართულმა დისკუსიამ ცხადყო, რომ ამერიკა-ინგლისის ბლოკის ქვეყნებს არა სურთ მიიღონ მუხლები, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ ყოველ ადამიანს ჰქონდეს შრომის უფლება. სსრ კავშირის წარმომადგენლებმა მტკიცედ მოითხოვეს, რომ საერთაშორისო პაქტის შესაბამის მუხლებში იყოს სრულიად ზუსტი და ნათელი დებულებანი იმის შესახებ, რომ ყოველ ადამიანს უზრუნველყოფილი აქვს უფლება იცხოვროს თავისუფლად არჩეული შრომით.

საბჭოთა შესწორებებს მხურვალედ დუუჭირეს მხარი მთელი რიგი ქვეყნების დელეგატებმა. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგაციათა წინააღმდეგობის მიუხედავად, კომისიამ მიიღო საბჭოთა ოთხი შესწორება იმ მუხლებში, რომლებიც შრომის უფლებასა და შრომის პირობებს ეხება.

მუშაობა ბრძოლა გაჩაღდა მაშინ, როცა კომისია განიხილავდა საბჭოთა შესწორებას მამაკაცისა და ქალის თანაბარი შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ. ეს შესწორება მიღებულ იქნა 8 ხმით 5 ხმის წინააღმდეგ. შესწორებას ხმა მისცეს ეგვიპტემ, პაკისტანმა, ჩილიმ, ურუგვაიმ და სხვა დელეგაციებმა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა საბჭოთა წინადადების წინააღმდეგ მისცეს ხმა.

მიღებულ იქნა აგრეთვე საბჭოთა სხვა შესწორებანი, რომლებიც ითვალისწინებენ დასვენების და ხელფასიანი შვებულების უფლებას. ეს წინადადებანი მიღებულ იქნა 8 ხმით, წინააღმდეგ ხმა მისცა ოთხმა დელეგაციამ, მათ შორის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა.

კომისიამ მიიღო ტექსტი შრომის უფლების მუხლისა, რომელშიც ნათქვამია:

„შრომა ადამიანის მთელი საქმიანობის საფუძველია, ამიტომ სახელმწიფოები, რომლებიც მხარეებს წარმოადგენენ პაქტში, აღიარებენ შრომის უფლებას, ე. ი. ყოველი ადამიანის ძირითად უფლებას მიიღოს, თუ ის ამას მოისურვებს, იმის შესაძლებლობა, რომ თავი ირჩინოს თავისუფლად არჩეული შრომით.

იმ ღონისძიებებში, რომლებიც სახელმწიფომ — პაქტის მხარემ უნდა მიიღოს ამ უფლების სრული განხორციელებისათვის, შედის პროგრამები, დირექტივები და მეთოდები, რომელთა მიზანია მიღწეულ იქნას მუდმივი ეკონომიური განვითარება და სამუშაოთი სრული უზრუნველყოფა ისეთ პირობებში, რომლებიც თვითეული ცალკე პიროვნებისათვის უზრუნველყოფენ ძირითად პოლიტიკურ და ეკონომიურ თავისუფლებებს“.

ტექსტი შრომის პირობების მუხლისა მიღებულია შემდეგი სახით:

„სახელმწიფოები, რომლებიც პაქტში მხარეებს წარმოადგენენ, აღიარებენ, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობები, მათ შორის:

A) შრომის უსაშიშრო და ჰიგიენური პირობები.

B) გასამრჯელო, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მშრომელისათვის სულ ცოტა:

1. სამართლიან ხელფასს და თანაბარ გასამრჯელოს თანაბარი ღირებულების სამუშაოსათვის სრულიად განურჩევლად, კერძოდ, ქალები სამუშაოზე ნაკლები უპირატესობით არ უნდა სარგებლობდნენ, ვიდრე მამაკაცები, და თანაბარ შრომაში უნდა იღებდნენ მამაკაცის ხელფასს, და

2. შესაფერ არსებობას მათთვის და მათი ოჯახებისათვის და

C) სამუშაო საათების, დასვენების გონივრულ განსაზღვრას და პერიოდულ ხელფასიან შვებულებას“.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი, რომელიც ცდილობდა შეემსუბუქებინა თავისი მორიგი დამარცხება ადამიანის უფლებათა საკითხის კომისიაში, იძულებული გახდა ხმა მიეცა ორივე მუხლისათვის მთლიანად მას შემდეგ, რაც მისი ცდები — უარეყოთ საბჭოთა შესწორებანი უშედეგო აღმოჩნდა. მაგრამ ამასთან ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა განაცხადა, რომ სსრ კავშირის შესწორებანი თავისი ქვეყნისათვის მიუღებლად მიაჩნია.

ამრიგად, ჩაიფუშა ამერიკა-ინგლისის ბლოკის წარმომადგენელთა ცდები — ჩაეშალათ ადამიანის უფლებათა საკითხის კომისიის მიერ შრომის უფლებისა და შრომის პირობების მუხლების შემუშავება.

ჩეხოსლოვაკიაში განაჩენი გამოუტანეს სამშობლოს მოღალატეებს

პრაღა, 17 მაისი. (საკდესი). პრაღაში დამთავრდა ეგრეთწოდებული ახალგაზრდათა ორგანიზაცია „იუნაკის“ ყოფილ მუშაკთა ანტისახელმწიფოებრივი ჯგუფის ხელმძღვანელთა პროცესი.

ბრალდებულთა უმრავლესობა ომამდე აქტიურად მუშაობდა ჩეხოსლოვაკიის სკაუტთა რეაქციულ ორგანიზაციაში. ჩეხოსლოვაკიაში სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარების შემდეგ ბრალდებულნი შეიპარნენ ნაწილობრივ რეორგანიზებულ „იუნაკში“, რომელიც ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის კავშირის შემადგენელი ნაწილი გახდა, და ეწეოდნენ იქ საქმიანობას, რომლის მიზანი ის იყო, რომ ახალგაზრდობას მონაწილეობა არ მიეღო ჩეხოსლოვაკიის ხალხის შემოქმედებით ღონისძიებათა განხორციელებაში. ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის ერთიანობის ორგანიზაციული გაფორმების შემდეგ ბრალდებულნი, რომლებიც ახალგაზრდობის მოძრაობის გარეთ დარჩნენ, ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის გზას დაადგნენ.

1949 წლის დამლევს ბრალდებულებმა პრუხამ, ნემეცმა და გრიმმა შექმნეს ანტისახელმწიფოებრივი ჯგუფის არალეგალური ცენტრი, რომელშიც შემდეგ შეეიდნენ ბრალდებულნი მიკშოვიჩი, სტრეინეტი და იანდუსი. ჯგუფის მეთაური პრუხა ცდილობდა კავშირი გაება ჩეხოსლოვაკიის მოღალატე ემიგრაციასთან, და ჩეხოსლოვაკიიდან გაქცეულ დანაშაულებთან. თავისი ჯგუფის მოქმედების კოორდინაციის მიზნით 1951 წლის გაზაფხულზე მოამზადა და არალეგალური გზით გაგზავნა საზღვარგარეთ „მემორანდუმი“. ამ „მემორანდუმში“, რომელიც სხვა ბრალდებულებმაც მოიწონეს, პრუხა აყალიბებს ჩეხოსლოვაკიაში ახალგაზრდათა მოძრაობის „გარდაქმნის“ პროგრამას. ამ გარდაქმნის საფუძვლად ედო ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის კავშირის ლიკვიდაცია და მის ნაცვლად სკაუტთა ბურჟუაზიული ორგანიზაციის შექმნა.

ბრალდებულთა ჩვენებიდან ირკვევა, რომ კორეაში საომარი მოქმედების დაწყებასთან დაკავშირებით მათ იმედი ჰქონდათ, რომ ამერიკელი იმპერიალისტები მალე გაგზავნიდნენ ომს ევროპაში და ამის შედეგად მოხდებოდა ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიული წყობილების ლიკვიდაცია. არალეგალური ჯგუფის წევრებმა ურთიერთშორის გაინაწილეს ხელმძღვანელი პოსტები „იუნაკში“, რომლის აღდგენასაც ისინი აპირებდნენ ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის კავშირის დაშლის შემდეგ.

ამავე დროს ისინი ემზადებოდნენ იმისათვის, რომ ყოფილი სკაუტებისაგან შემდგარი მებრძოლი ჯგუფების დახმარებით ხელში ჩაეგდოთ ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის კავშირის ქონება.

სასამართლოში გამოქვეყნებულ საბრალდებო დასკვნაში დაწვრილებით დახასიათებულია თვითეული ბრალდებულის დანაშაულებრივი საქმიანობა.

სახელმწიფო სასამართლომ მიუსაჯა: ბრალდებულ კარელ პრუხას — თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით, ფრანტიშეკ ნემეცს — 12 წლით, ფრანტიშეკ იანდუსს — 11 წლით. დანარჩენ 7 ბრალდებულს მიესაჯა პატიმრობა 6 თვიდან 10 წლამდე.

პარიზის მშრომელები პროგესს აცხადებენ დეგოლელთა თარეშის წინააღმდეგ

პარიზი, 16 მაისი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, 14 მაისს ღამით, დეგოლელ ბანდიტთა ჯგუფი შეეცადა თავს დასხმოდა კომუნისტური პარტიის პარიზის მე-13 ოლქის ორგანიზაციის ბიუროს შენობას.

ამ ახალმა ფაშისტურმა პროვოკაციამ ოლქის მოსახლეობის მკვეთრი აღშფოთება გამოიწვია. გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, რომ 15 მაისს დილით ასობით მშრომელი შეიკრიბა კომუნისტური პარტიის სექციის შენობის წინ და საპროტესტო მიტინგი მოაწყო. მშრომელებმა მტკიცედ გაილაშქრეს დეგოლელთა ფაშისტური გამოხდომის წინააღმდეგ. მიტინგის მონაწილეებმა მოითხოვეს დეგოლელთა შეიარაღებული რაზმების დათხოვნა და დემოკრატიული ორგანიზაციების შენობებზე ბანდიტური თავდასხმების ორგანიზატორთა სასტიკი დასჯა. მათ გაკიცხეს პინეის მთავრობა, რომელიც მფარველობას უწევს დე გოლის ტერორისტულ ორგანიზაციებს.

სულ უფრო მეტ სივრცეს ფარავს ივრის წყალი და მიმზიდველი ხდება თბილისის „ზღვა“. დასვენების დღეს დედაქალაქის მშრომელები მიდიან „ზღვის“ სანახავად და იქ მხიარულად ატარებენ დროს. სურათზე: თბილისის „ზღვის“ ერთი ნაწილი.

ფოტო ვ. გინზბურგისა

დღეს თბილისში

სტალინური მარშრუტით

თბილისში უკვე დაიწყო ტურისტულ-საექსკურსიო სეზონი. ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეებიდან, ამიერკავკასიის მომძღვრესპუბლიკებიდან და მთელი ჩვენი დიდი სამშობლოს მრავალი ადგილიდან უკვე ჩამოვიდნენ ტურისტ-ექსკურსანტთა პირველი ჯგუფები.

დღეს ექსკურსანტები დათვალიერებენ თბილისის ისტორიულ-რევოლუციურ ადგილებს. საქართველოს რაიონებიდან, მომძღვრესპუბლიკებიდან და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული ექსკურსანტების გარდა ამ დათვალიერებაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის მთელ რიგ საწარმოთა კოლექტივები — პლასტმასის ქარხნის, მუსიკალური ავეჯის კომბინატის, სასოფლო ელექტროსადგურების მოწყობილობის ქარხნის კოლექტივები, საავტო ქსელის მუშაკები და სხვ.

გოგრში, რუსთავსა და სამგორში

მრავალრიცხოვანი ჯგუფები მიემგზავრებიან დღეს ხალხთა შელადის დიდი სტალინის სამშობლო ქალაქის — გორის ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად, აგრეთვე რუსთავსა და სამგორში, თბილისის წყალსაცავის მიდამოებში დასასვენებლად.

გორში მიემგზავრება 9 ჯგუფი, რუსთავში — 4 ჯგუფი, ხოლო თბილისის წყალსაცავთან — 16 ჯგუფი. მათ შორის არიან საქართველოს რაიონული გაზეთების მუშაკთა დიდი ჯგუფი, სოფლის მეურნეობის მუშაკები, პროფესიულ კავშირთა აქტივისტები და სხვადასხვა დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები.

ორთოპედიულ მშენებლობაზე

დღედაღამ განუწყვეტლივ მუშაობენ ორთოპედიული მშენებლები. ხმაურობს ბეტონის ქარხანა, განუწყვეტლივ მუშაობს ბეტონსაზიდი ტრანსპორტიორი, შეუნელებლივ ენაცვლებიან ერთიმეორეს მებეტონეთა, მეარმატურეთა, ხეროთა, კალატოზთა ბრიგადები.

ამ კვირა დღესაც მშენებელთა ერთი ნაწილი არ ისვენებს, რადგან მაისი მშენებლებმა გადამწყვეტ თვედ გამოაცხადეს. სამუშაოთა ადრე დამთავრებაზე დამოკიდებულია სადგურის ვადამდე ამუშავების ბედი.

ორთოპედიული მშენებლების ერთი ჯგუფი დღეს აწყობს შეჯიბრებას მშენებელ მუშაოთა და ინჟინერ-ტექნიკოს ფრენბურთელთა შორის. მეორე ჯგუფი მიდის ექსკურსიაზე თბილისის ისტორიულ-რევოლუციური ადგილების დასათვალიერებლად.

მუზეუმი ახალ შენობაში

უკვე დამთავრდა ხელოვნების ძვირფასი ექსპონატების გადატანა საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, რომელიც მოთავსებულია თბილისის ძველი სასულიერო სემინარიის რესტავრირებულ შენობაში.

ხვალიდან აქ შეუდგებიან ცალკე დარბაზებში ექსპოზიციების მოწყობას — ექსპონატების განლაგებას წინასწარ დამუშავებული გეგმის მიხედვით. მუზეუმის დარბაზების მოწყობა მალე დამთავრდება.

დიდი სომეხი კომეტის ხსოვნის საღამო

უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი და კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი 20 მაისს საღამოს 8 საათზე რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში აწყობენ დიდი სომეხი პოეტის ოვანეს თუმანიანის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოს.

შესავალ სიტყვას წარმოთქვამს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი ა. შანიძე. ო. თუმანიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენებას გააკეთებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი ა. ბარამიძე; მოხსენებას „ოვანეს თუმანიანი და ქართული კულტურა“ წაიკითხავს ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. იმედაძე.

სიტყვებით გამოვლენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პოეტი ი. გრიშაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი ი. აბულაძე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ა. გულისაშვილი.

საღამო დამთავრდება კონცერტით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოსა და სრბეთის საუკეთესო არტისტული ძალები.

სპორტული შეჯიბრებანი

○ **დღეს საღამოს 5 საათზე** კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის მოედანზე დაიწყება შეჯიბრება ნებაყოფლობით სასპორტო საზოგადოებათა მესამე კატეგორიის ფრენბურთელ გუნდებს შორის.

○ თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის საჩოგბურთო მოედანზე (მარჯანიშვილის ქუჩა) გაიმართება ჩოგბურთელთა შეჯიბრება თბილისის 1952 წლის პირად პირველობაზე.

შეჯიბრება დაიწყება საღამოს 5 საათზე.

○ **ველოსტადიონზე დღეს საღამოს 5 საათზე** დაიწყება ახალგაზრდა ველოსიპედისტების საკლასიფიკაციო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 50-მდე სპორტსმენი.

ქალთა რესპუბლიკური პირველობა ჭადრაკში

ქ. გოგიავამ ლიდერობა დაკარგა

დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში ქალთა შორის. ბრძოლა პირველობისათვის თავიდანვე დაძაბულად მიმდინარეობდა. ამ ტურნირში კარგ წარმატებას მიაღწია საქართველოს 1950 წლის ჩემპიონმა ქ. გოგიავამ, რომელმაც დაიგოლა 11 ქული და მოიპოვა ქალთა შორის საქართველოს 1952 წლის ჩემპიონის სპატიო წოდება.

ქსენია გოგიავა, რომელმაც წელს მეოთხედ დაიმკვიდრა ქალთა შორის ჭადრაკში რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი, მტკიცე პოზიციური სტილის, გამოცდილი მოჭადრაკე გახდა.

კარგად ჩაატარა ეს ტურნირი საქართველოს მეორე ძლიერმა მოჭადრაკემ ვ. ზარგარიანმა, რომელმაც ქ. გოგიავასთან ერთად მოიპოვა უფლება საკავშირო ნახევარფინალში მონაწილეობისა.

8 ქულა დაიგოლა ახალგაზრდა მოჭადრაკემ ლ. ხაჩაპურიძემ. ეს მისთვის დიდი წარმატებაა. მას კარგი მონაცემები აქვს, საჭიროა მეტი იმუშაოს თავის თავზე, აიმაღლოს თამაშის ოსტატობა და თეორიული მომზადების დონე. დანარჩენი ახალგაზრდა ნიჭიერი მოჭადრაკეები ჯერ კიდევ მოისუსტებენ. საჭიროა მათ მეტი იმუშაონ თამაშის კლასის ასამაღლებლად.

ბ. ბაჩეჩილაძე

გამოფენა—ხალხთა ბრძოლა მშვიდობისათვის

სტალინირი. (ხაკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა მოაწყო მშვიდობისათვის მსოფლიოს ხალხთა ბრძოლის ამსახველი მასალების, ილუსტრაციებისა და დოკუმენტების გამოფენა.

გამოფენაზე ფართოდ არის წარმოდგენილი მშვიდობის შენარჩუნების საქმეში საბჭოთა ოსეთის მშრომელთა მიერ შეტანილი წვლილის გამომხატველი მასალები.

გამოფენას მრავალი მნახველი ჰყავს.

ლექცია

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება 19 მაისს, საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე, გოროშილოვის სახელობის კლუბში (რუსთაველის პროსპექტი № 4) აწყობს საზოგადოების ნამყოფილ წევრის **კ. გამსახურდიას** საჯარო ლექციას თემაზე: **„ლეონარდო და ვინჩი“.**

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — მოწინავე — **სწრაფად** დავამთავროთ საგაზაფხულო თესვა.

დაიხარა საქართველოს კომკავშირის XIX ყრილობა.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმი.

შეეასრულოთ სტალინისათვის მიცემული სიტყვა — სოციალისტური შეჯიბრების ახალი აღმავლობა საქართველოს ქვანახშირის რაიონებში.

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში.

მეორე გვერდი — ჩვენი მძლავრი სამშობლო.

ა. ნიკიტენკო — კრიტიკა და თვითკრიტიკა — საბჭოთა საზოგადოების განვითარების კანონია. ამიერკავკასიის რესპუბლიკებში.

ვ. ტატიშვილი — „სტეფანე რაზინი“.

მესამე გვერდი — ს. დოლიძე — „დაუვიწყარი 1919 წელი“.

საპაერო ტრასის საზაფხულო გრაფიკი.

ლ. ლაღიძე — კონსულტანტი (პატარა ფელეტონი).

უცხოეთის ინფორმაციები.

მეოთხე გვერდი — ნ. რატიანი — „ინგლისი და ამერიკა“. უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

რადიოსადგურით 1.571 მეტრ ტალღაზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით

19 მაისს

06.25 — მარშები; 07.30 — უვერტიურები; 09.20 — კონცერტი ბუდაშკინის და ტულიკოვის ნაწარმოებებიდან; 11.10 — ბაგანინის კვარტეტი; 17.15—ქართული ხალხური სიმღერები; 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „პიონერთა ორგანიზაციის ოცდაათი წელი“; 18.15 — საოპერო მუსიკის კონცერტი; 19.15 — საოპერეტო მუსიკის კონცერტი; 19.45 — საუბარი: ლენინი და სტალინი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შესახებ.

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით

20.30 — ქალაქის ქსელით — კონცერტი; რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის; 20.45 — კამერული მუსიკის კონცერტი; 21.00 — ლექცია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების შემსწავლელთა დასახმარებლად: „იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი — საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“. 21.30 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები; 22.45 — ლიტერატურული გადაცემა ციკლიდან — ახალი წიგნების შესახებ; 23.05 — არიები ოპერებიდან; 00.05 — კონცერტი შოსტაკოვიჩის და პროკოფიევის ნაწარმოებებიდან.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ქოშები (დილით), გორდა (საღამოს 7 ს.); **რუსთაველის სახელობის** — რვალი (დილით და საღამოს); **მარჯანიშვილის სახელობის** — მარინე (დილით), ურიელ აკოსტა (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — ძია ვანო (დილით), სახლი შესახვევში (საღამოს); **მუსიკალური კომედიის** — ერთხელ გაზაფხულზე (დილით), ბრწყინვალე მომავალი (საღამოს); **სომხური დრამის** — სოსი და ვარდითერი (დილით და საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — შინ დაბრუნება მინდა (22-ე აბ. 1 ს.), ჟველი პრილობა (მე-5 აბ. 8 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ქორწინება (10 ს.), ჭექა-ქუხილი (2½ ს., 7 ს.); **თოჯინების ქართული** — დათუნიას ქონი (11 და 1 ს.), წიქარა (3 ს.); **სანკულტურის** — ორი ბედნიერება.

მოქალაქე **მარხელა დომენტის ასულმა მეტრეველმა,** მცხოვრებმა საბჭოს ქ. № 104, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ქრისტო ვარლამის-ძე ლებანიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგია.

მოქალაქე **ოლღა ლევანის ასულმა ჯ